# საერთო გაზეთი

№1 (778)
ოთხშაბათი
15 იანვარი,
2025 წ.
ფასი 2 ლ.


## წუხელ მესიზმრა...



მესიზმრა, თითქოს ჩიტი ვიყავი
და ღამის ფერმკრთალ ცაში დავფრენდი,
ვარსკვლავებს შორის დავფრენდი დიდხანს
და ცხადად ვგრძნობდი მათ სიმხურვალეს,
ხოლო ღრუბლები, მთვარის სხივებით
განათებული ყვითლად ღრუბლები,
დაფარფატებდნენ ჩემს ქვემოთ მშვიდად,
ვით კუნძულები ფერად-ფერადი
ოკეანეში მოხეტიალე,
ჩიტი ვიყავი, მაგრამ სიზმარში
ისიც მახსოვდა, თუ ვინ ვიყავი –
მახსოვდა ჩემი გვარიც, სახელიც
და დაბადების წელიც მახსოვდა,
ისიც მახსოვდა, რომ მიტოვებულ
დედამიწაზე დამრჩა შვილები –
უსაყვარლესი ჩემი ბარტყები,
რომლებიც, ალბათ, მეძახდნენ ახლა,
მეძახდნენ, წუხდნენ და მომელოდნენ.
მე კი, მე ახლა ჩიტი ვიყავი
და საქართველოს ცაზე დავფრენდი,
ქვემოთ ვერცხლისფრად ჩანდა მყინვარი,
იქით უჯარმა და ალავერდი.
აი, ეს იყო ჩემი სამშობლო,
ეს რუხის ციხე და ეს გელათი,
გულისტკივილით ვისაც განვშორდი,
ცა კი საერთო იყო ყველასთვის.
ყველას მამული საყოველთაო,
რომ არ ეკუთვნის ცალკე არავის,
ქვემოთ ელავდა ჩემი კვეტარი
და გუგუნებდა ჩემი არაგვი.
... წუხელ მესიზმრა:
ჩიტი ვიყავი და საქართველოს
ცაზე დავფრენდი,
დიდხანს დავფრენდი და დავიღალე
და შემეშინდა, რომ ვერასოდეს
ვერ მივაღწევდი დედამიწამდე
და ამ შორეულ და ამ უდაბურ
ცის უღრანებში ჩავინთქმებოდი.
მე შემეშინდა ცაში სიკვდილის,
არავისი და არვის მხარეში და
მთვარის სხივთა სინარნარეში
სამშობლოსაკენ დაბლა დავეშვი.
თუ სამშობლომდე ვერ მივაღწევდი,
თუ ვერ ვნახავდი საყვარელ გამზრდელს,
აქ სიკვდილს მაინც სჯობდა სიკვდილი
სამშობლოსაკენ მიმავალ გზაზე...
წუხელ მესიზმრა...

**ვახტანგ ხარჩილავა**

# დავით ქართველიშვილი: საქართველოს შიდა მოხმარების პრეზიდენტი ზურაბიშვილი იქნება

საქართველოში განსაკუთრებით ელიან ტრამპის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას, თუ ვინ იქნება დანიშნული საქართველოში ამერიკის ელჩად და სამხრეთ კავკასიაში სახელმწიფო დეპარტამენტის კურატორად.

„დონალდ ტრამპმა წინასაარჩევნო კამპანია შემდეგი განცხადებით დაიწყო - მე ამერიკა კვლავ უნდა გავხადო დიადი. ეს განცხადება კი ბევრ რამეზე მიანიშნებს. 2026 წელს ამერიკას, როგორც სახელმწიფოს 250 წელი უსრულდება. ჩემი აზრით, 4 ივლისს ამერიკაში იქნება გრანდიოზული, აქამდე არნახული დღესასწაული.

ამერიკის სახელმწიფოებრიობის 200 წლისთავი 1976 წელს აღინიშნა. მაშინ ამერიკას ჰყავდა ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მმართველი - ჯერალდ ფორდი. მან რიჩარდ ნიქსონისგან უმძიმესი მემკვიდრეობა მიიღო, რის გამოც წარმატებას ვერ მიაღწია. სწორედ ასეთი უმძიმესი მემკვიდრეობა ერგო წილად დონალდ ტრამპს ბაიდენისგან. თუმცა ტრამპი ყველაფერს დაძლევს, ეს მისი პრინციპის საკითხია. დავესესხები დავით მაღრაძეს - ეს ჩვენი „პეროვნებები“ რატომ ხარობენ, იცით? მათ ჰგონიათ, რომ ტრამპი საქართველოს გარდა, სხვა ყველა ქვეყანაში თავის დღის წესრიგს დაამყარებს. საქართველოს ეგზარქოსი და პრეზიდენტი მაინც ჯო უილსონი იქნება, შიდა მოხმარების პრეზიდენტი კი სალომე ნავანელი, ანუ ჩვენი ზურაბიშვილი. ამაში 100%-ით დარწმუნებულები არიან. ის, რითაც მეთიუ მილერებმა ტვინი წაგვიღეს ყოველდღე - გააუქმე ის, შეცვალე ეს, დანიშნე ის და ა. შ. უნდა ჩაბარდეს წარსულს.

ჩვენ ყველანი ველოდებით არამხოლოდ 20 იანვარს. ჩვენთვის საინტერესოა, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან ვინ იქნება დანიშნული ელჩად საქართველოში და სამხრეთ კავკასიაში სახელმწიფო დეპარტამენტის კურატორად. მასთან უნდა დავამყაროთ ძალიან კარგი, თბილი, ტრადიციული, კონსერვატიული ურთიერთობები. ისეთი, როგორც ტრამპს და მის გუნდს გაუხარდება. მე ამაში დარწმუნებული ვარ“, - განაცხადა დავით ქართველიშვილმა.

# ასე ამუნათებდნენ დღეს მოსამართლეს...

„შეგრცხვეთ, ჟურნალისტებს რომ ციხეში უშვებთ“, - ასე ამუნათებდნენ დღეს მოსამართლეს, რომელმაც გაზეთ “ბათუმელების” დირექტორი პატიმრობაში დატოვა პოლიციელზე ფიზიკური თავდასხმის გამო.

ამ საკითხს სხვა კუთხით მინდა მივუდგე, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც უმცირესობა ცდილობს დაამკვიდროს აზრი, რომ მედიის ან ენჯეოსექტორის წარმომადგენლებს, როგორც პრივილეგირებულ კასტას, არაფორმალური ინდულგენცია აქვთ, კანონზე მაღლა დგანან და რაც უნდა გააკეთონ, ყველაფერი უნდა შერჩეთ. ანუ, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი” “კანონის წინაშე ყველა თანასწორია,” მათზე არ უნდა ვრცელდებოდეს. საგანგაშო და სამწუხაროა ეს ტენდენცია.




# გერმანიას უნდა ჰქონდეს საკუთარი პრიორიტეტები

„ჩვენი პირველი მიზანი უნდა იყოს, რომ გერმანია არ გახდეს უკრაინის შორეული კონფლიქტის ნაწილი, ეს რუსეთისთვისაც მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. გერმანიის ინტერესებში არ შედის რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტა. ჩვენი ეკონომიკა დამოკიდებულია რუსულ ენერგეტიკაზე. ჩვენ არ უნდა გავხდეთ ევროკავშირის პანელი, რომელიც მხოლოდ სხვა ქვეყნების ინტერესების წინაშე დგას. გერმანიას უნდა ჰქონდეს საკუთარი პრიორიტეტები,” - განაცხადა გერმანიის კანცლერობის კანდიდატმა **ალისა ვაიდელმა.**



# რობერტ ფიცო: ჩვენ უდიდეს შეცდომას ვუშვებთ, როცა პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციების წმენდა არ გვსურს!

სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრის რობერტ ფიცოს განცხადებით, საქართველოს მთავრობას გარეშე ძალები მხოლოდ იმიტომ ესხმიან თავს, რომ საპარლამენტო არჩევნებში მათთვის არასასურველმა პარტიამ გაიმარჯვა.

ფიცოს განმარტებით, მიუღებელია ის ფაქტიც, რომ რუმინეთში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები მხოლოდ იმიტომ გააუქმეს, რომ იქაც არასასურველმა კანდიდატმა გაიმარჯვა.

„ის, რაც რუმინეთში მოხდა, უბრალოდ, დაუშვებელია. საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგები მხოლოდ იმიტომ არ აღიარეს, რომ იმან მოიგო, ვისაც არ უნდა მოეგო.

რა მოხდა საქართველოში? დაუშვებელია, რომ მთავრობას და პოლიტიკურ პარტიას თავს ესხმიან მხოლოდ იმიტომ, რომ მათ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვეს. ჩვენ უდიდეს შეცდომას ვუშვებთ, როცა პოლიტიკური არასამთავრობო ორგანიზაციების წმენდა არ გვსურს, განსაკუთრებით კი სოროსის ორგანიზაციების, რომლებიც სლოვაკეთში მიმდინარე პოლიტიკური აქტივობებისა და მედიის ნაწილის უკან დგანან“, - აღნიშნა ფიცომ.

სლოვაკეთის პრემიერი გამოეხმაურა ილონ მასკის მისამართით ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს ბრალდებას, რომ მილიარდერი სხვისი ქვეყნის შიდა პოლიტიკაში ერევა. რობერტ ფიცოს თქმით, პრობლემა არა მასკის ქმედებებში, არამედ სოროსის არასამთავრობო ორგანიზაციების სისტემაშია.

„ევროპის პრობლემა ის კი არ არის, რომ, მაგალითად, ილონ მასკმა გერმანიაში რაღაც პოლიტიკურ პარტიას დაუჭირა მხარი, არამედ უდიდესი პრობლემა არის სოროსის არასამთავრობო ორგანიზაციების სისტემა, რომელიც დემოკრატიას ანადგურებს“, - დასძინა ფიცომ.

# ყველაფერზე წასვლა გადაწყვიტეს...

„აზრზე ხართ, რა დაემართათ? როგორც კი „ოცნებამ“ დააანონსა კომისიის შექმნის თაობაზე, ყველაფერზე წასვლა გადაწყვიტეს... პირდაპირი გაგებით – ყველაფერზე...

– ყველანაირ საზიზღრობაზე, ყველანაირ არაადამიანობაზე.

ტანითვე იგრძნეს, თუ რა დაემართებათ ნაცებს და მათთან დაახლოებულ პირებს და გალიაში მყოფი ვირთხებივით იქცევიან... იკბინებიან, იფურთხებიან, იტყლარწებიან!

მათთვის, ახლა, დაპირისპირება, მსხვერპლი, ქაოსი და სიკვდილიც კი – ჯეკ პოტივითაა... მხოლოდ ეგ დარჩენიათ და არც ჩერდებიან!!!”, – წერს ექსპერტი ირაკლი ლატარია.



**2025 წლის 13 იანვარს 95 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის მეუღლის ინა პატარკაციშვილი-გუდავაძის დედა**

**მაია გუდავაძე**

**ქალბატონი მაია გახლდათ მედიცინის დამსახურებული მუშაკი, იგი ათეული წლები სამეანო საქმეს ერთგულად ემსახურა.**

**პანაშვიდი: 15 იანვარს 16.00 საათიდან.**

**გამოსვენება: 16 იანვარს 14.00 საათზე**

**მისამართი: „არკადია“, ბოჭორმის 21**

**ორგანიზაცია „სახალხო დიპლომატთა ერთობის“ სახელით ვუსამძიმრებთ და თანადგომას ვუცხადებთ გარდაცვლილის ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს. ნათელი მის ლამაზ სულს.**

**ნინო ანდრონიკაშვილი, ციცი ბეროზაშვილი**

**„საერთო გაზეთის“ რედაქცია გულისტკივილს გამოთქვამს ინა პატარკაციშვილი-გუდავაძის დედის, მაია გუდავაძის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.**

# თუ ძლიერი საქართველო გინდა – ღირსება დაუბრუნე ხალხს!

ხშირად მიწევს საზოგადოებრივი მაყურებლის როლში ყოფნა, ვინაიდან არაფერი ხდება ისეთი, რაც მე მაქცევს მოქმედ პირად, შესაბამისად, განუწყვეტლივ მეძლევა საშუალება, რომ დავაკვირდე ადამიანების გადაგვარების პროცესს.

რამ გადააგვარა თაობები, ამაზე დასკვნა გამოტანილია — უპირველესად, გაუნათლებლობამ!

გაუნათლებლობა კი გამოიწვია ცნება „განათლების" მიზანმიმართულად გაუკუღმართებამ; ცნება „თავისუფლების" გაუკუღმართებამ; ყურით მოთრეული სიტყვების გაბატონებამ, რამაც აკრძალა ქცევაზე, ავადობაზე, პიროვნებაზე, ამბავზე და სხვა ყველაფერზე კუთვნილი სახელის დარქმევა; ტოტალურმა შეტევამ „სუფთა დაფებზე"; ურთიერთსაწინააღმდეგოს ერთმანეთთან გაიგივებამ და ა. შ.

ამ უბედურებას საფუძველი ნელ-ნელა ეყრებოდა, წინაპირობად ფონს უქმნიდნენ, მაგრამ ბუჩქებისკენ ღია მოწოდების შემდგომი 9 წელი სრულიად საკმარისი გახდა იმისათვის, რომ მიგვეღო ყველაფერზე ხელისმომწერი სამი გამოთაყვანებული თაობის ნაკრები. უბედურება ის არის, რომ გამოთაყვანებულები ვერ ხვდებიან, რომ გამოათაყვანეს, გამომთაყვანებლები კი, ძღვენიჭამია პედაგოგ-პროფესურის სახით, კვლავ გამომთაყვანებელ დემონებად არიან დასმულები.

საბჭოთა პერიოდში დაბადებულ-გაზრდილს ურწმუნოებით ვინ გამაკვირვებს, უნივერსიტეტში საგანს გვასწავლიდნენ „ათეიზმს", წითელ კვერცხს ვერ გამოაჩენდი და აღდგომის ღამეს თუ ნათლობისას, ღიად ვერ შეხვდებოდი ეკლესიაში, მაგრამ იმდენად წმინდა იყო ადამიანი შინაგანად, ეკლესიაში როგორ შევარდებოდა, რომ სასულიერო პირს დასხმოდა თავს?!

პრეზერვატივს ხელს როგორ მოკიდებდა ვინმე საქვეყნოდ, არათუ თითებზე ჩამოეცვა გოგოს და პირჯვრის გადაწერის სცენა გაეთამაშებინა;

მორწმუნეობას დევნიდნენ კომუნისტები, მაგრამ ჩუმად ყველა მონათლული იყო და ჩუმადვე ნათლავდნენ ბავშვებსაც, მაგრამ პრეზერვატივზე წმინდანის დახატვის უფლებას არავის მისცემდნენ;

ეკლესიაში ვინმეს საღებავი რომ შეესხა ხატისთვის, 500 მანეთი ჯარიმა კი არა, 500 სიცოცხლე არ ეყოფოდა, რომ ფსიქიატრიულის კედლები დაეტოვებინა;

ვინმე ბიჭს რომ ეთქვა, რაც მე ბაგრატის ტაძრის სამრეკლოზე მამაკაცთან სექსი მქონიაო, — ციხეს თუ გადაურჩებოდა, იმ სამრეკლოზე დაკიდებდნენ;

საზოგადოებრივი კვების რომელიმე თავმომწონე ობიექტში პედერასტულ-პედოფილური ლიტერატურა რომ გამოფენილიყო, ფანტაზია არ მყოფნის, სახელდახელოდ რომ ვთქვა, რაც იქ მოხდებოდა;

ფალოსის ფორმის, სხვადასხვა ზომისა და არომატის სანთლების ღია ვიტრინაში გამოფენას როგორღა დავიჩივლებ, პირდაპირ ეთერში ვხედავდი თავზეფალოსწამოცმულ ახალგაზრდა ბიჭებს, თურმე შოუს შემადგენელი ნაწილი ყოფილა თავზე ფალოსის წამოკოსება... რამდენი და რომელი ასეთი ჩამოვთვალო.

2020 წლიდან სახელმწიფო გადატრიალების მეოთხე მცდელობას ვუყურე და გაოგნებული ვარ, ადამიანის ცოცხლად დაწვიდან კნავილამდე დავიდნენ. ვერაფრით მივხვდი, რა იყო ეს კნავილი, რას ნიშნავდა, რატომ კნაოდა „მიაუს" შესახედად მშვენიერი მოზარდი გოგონა;

სხვათა შორის, ერთმანეთზე შეუხედავი მდედრობითი სქესის წარმომადგენლები შუა თითს რომ შვერენ, ან უხამსი სიტყვებით იგინებიან, ძალზე შემზარავები არიან (ლამაზები მაინც იყვნენ), მაგრამ არ მიკვირს. როგორც უძაღლო ქვეყანაში ყეფენ კატები, ისეა საზოგადოებაშიც, სადაც კაცები არ დგანან სათანადო სიმაღლეზე, ქალებმა, დიახაც რომ უნდა იგინონ, იქნებ, კაცები გამოაფხიზლონ...

ამ კატეგორიის გამოთაყვანებულებისთვის მორალის კითხვა წყლის ნაყვაა, მათივე „ენაზე" უნდა გააგებინო უმარტივესად, მაგრამ ამას თუ დააპირებ, აღმოჩნდება, რომ შენ მას, „თავისუფალ" მოქალაქეს „აბულინგებ", რაც „შეუთავსებელია დემოკრატიულ პრინციპებთან".

დიდი მნიშვნელობის პატარ-პატარა ნიუანსები წყვეტენ მიზნების აღსრულებას!

„ჩაირეცხა" ღირსეული პროფესურა! – გაურკვეველი დროით დასამარდა განათლება!

ააფეთქეს და სამუდამოდ მოსპეს გმირთა მემორიალი ქუთაისში — გააუფასურეს ცნება „გმირი"!

დააპატიმრეს, აწამეს და მოკლეს ომგამოვლილი პროფესიონალი სამხედრო პირები — გადათელეს ცნება „პატრიოტიზმი"!

„ნულოვნი ტოლერანტობა! ყველანი ციხეში!" — ამავდოულად, ახალგაზრდებს ბუჩქებისკენ მიუთითა პრეზიდენტმა და საქმეც გამოეწყო.

მშობლებმა, რომლებიც სრულებით არ ემხრობოდნენ ტირან მანიაკს, მაგრამ დაშინდნენ, დღეს იმ ასაკის შვილები ჰყავთ, აქციებზე გამოსაყენებელი მასალა რომ არის, ლამაზად კი „მომავალი თაობა" ჰქვია, მათი მხოლოდ გაურკვეველი მომავალი რომ არის, თუ სხვა არ გაისარჯა და ღირსეული მომავლის საფუძვლები არ შეუქმნა.

კატეგორიებად არ დავყოფ, რადგან მიზეზ-შედეგობრივად ერთ ტომარაში იყრება ყველა, ვისაც ტვინგამორეცხილი ჰქვია.

ეტიენ დე ლა ბოეტს საინტერესო რამ აქვს დაწერილი ხალხის მიერ არჩეულ ტირან მმართველებსა და დამონებულებზე. რომ დავფიქრდი, მართლაც ასეა:

„თავდაპირველად, ხალხს ისინი ძალით იმორჩილებენ, მაგრამ მომდევნო თაობა, რომელსაც არ უნახავს თავისუფლება და არ იცის, რა არის ეს, უკვე ყოველგვარი სინანულის გარეშე ემორჩილება ბატონს და აკეთებს იმას, რასაც მისი წინაპრები იძულებით აკეთებდნენ."

მანიაკთაგანი გიორგი ვაშაძის მოწოდება „სახლში რომ მიხვალთ, დედებს უთხარით, გცხვენიათ მათი შვილი რომ ხართო", იმის მოწოდება იყო, რომ თანამედროვე პავლიკ მოროზოვები გაამრავლონ, რომელთა მსგავსები უკვე ჰყავთ საშენში და გამოაფრიალეს კიდეც ვინმე მანაგაძის სახით.

„მაგრამ ასეთ მორჩილ ხალხს შორის ვხვდებით ასევე კეთილშობილებს, რომლებიც გრძნობენ რა უღლის სიმძიმეს, ცდილობენ მის გადაგდებას და არასდროს ურიგდებიან მონობას."

ზემოთ ვთქვი, ღირსეული პროფესურა ჩარეცხეს-მეთქი და სწორედ ასეა — რაგინდ ცოდნით იყოს ადამიანი აღვსილი, მე ვერ მოვიხსენიებ ღირსეულად, თუ მას ყველანაირ უმსგავსობაზე მორჩილად შეუძლია თავის დახრა — მთელ პროფესურას მირჩევნია ის ერთი პროფესორი, რომელსაც, ვერაფერი რომ ველარ მოუხერხეს, თავს დაესხნენ და უმოწყალოდ სცემეს... იმ კაცს და მის მსგავს ცოდნის ქურუმებს შეუძლიათ აღზარდონ ღირსეული, ამაყი და თავისუფალი ქართველები და არა საპროფესოროებში შემძვრალ-დავანებულებს...

ბრავო, ბოეტს!

ტირანის ბატონობისას ხალხი მშიშარა და ქალური ხდებაო;

ტირანი არასოდეს ფიქრობს, რომ მისი ხელისუფლება მყარია, ამიტომ ცდილობს, რომ მის ქვეყანაში ერთი ღირსეული ადამიანიც კი არ იყოსო;

ის ეშმაკობა, რომლის წყალობითაც ტირანები ასულელებენ თავიანთ ქვეშევრდომებს, არაფერში ისე ნათლად არ მჟღავნდება, როგორც იმაში, რაც კიროსმა გაუკეთა ლიდიელებს მას შემდეგ, რაც მან მათი მთავარი ქალაქი, ლიდია დაიპყრო და კრეზი, ეს მდიდარი ბატონი, ხელთ იგდო და თავისთან წაიყვანა.

როდესაც მან გაიგო, ლიდიელები აჯანყებას აპირებენო, მან კვლავ დაიპყრო ქალაქი, მაგრამ რადგან ამ ლამაზი ქალაქის დანგრევა და და არც იქ მუდმივად ჯარის შენახვა უნდოდა, უბრალო მეთოდი მოიგონა — ქალაქში ააშენა გასართობი დაწესებულებები, ტრაქტირები, საროსკიპოები და ა. შ. და ყველა ქალაქელს ამ ყველაფრით სარგებლობის უფლება მისცა. ეს იმდენად ეფექტიანი მეთოდი აღმოჩნდა, რომ ლიდიელების დასამორჩილებლად უკვე საჭირო აღარ იყო იარაღის გამოყენება. ეს უბედური ხალხი იმით ერთობოდა, რომ ახალ-ახალ სათამაშოებს იგონებდა. სწორედ მათგან აიღეს ტერმინი, რომლითაც ჩვენ აღვნიშნავთ დროის გატარებას — „**udi**".

თეატრები, თამაშები, გლადიატორები და სხვა მსგავსი სისულელეები წარმოადგენდნენ ძველებისთვის მონობის სატყუარას, თავისუფლების ფასსა და ტირანის იარაღსო......

პური და სანახაობა! — პურად ამფეტამინს ურიგებდნენ, სანახაობას თვითონ აწყობდნენ, თუმცა გლადიატორებად ვერ გამოდგნენ ჩვენი თანამედროვე ტვინგამორეცხილი დადედლებულები მონები...

თუ ადრე მაყურებელი ცერა თითის აწევით წყვეტდა, გადარჩენილიყო თუ არა დამარცხებული გლადიატორი, ახლა სცენარის დამწერი წყვეტს, „მასოვკაში" დასაქმებული მოქმედი პირებიდან რა კატეგორიის, რამდენი და რა დროს უნდა დაჯარიმდეს, იცემოს, ციხეში აღმოჩნდეს, მოკვდეს...

სწორედ ამიტომ, არავინ დაეკითხებოდა მონებს და რასაც მოინდომებდა, იმას დაარქმევდა ტირანი „დალის ხეობას" — „ზემო აფხაზეთს" კიდევ რა უჭირს, „მოვსეს ხორენაცის ხეობა" რომ არ დაარქვა, ესეც შეღავათია...

ხუჯაბის მე-13 საუკუნის ქართული მონასტერი რომ მიიტაცა სომხეთმა საზღვრის 300 მეტრით გადმოწევის შედეგად, 2005 წელს გამოაშკარავდა და განგაში ატყდა ვითომ, მაგრამ მე ის უფრო გამიკვირდა, რომ უკვე დოკუმენტურად გადაცემული არ იყო;

არც აზერბაიჯანის მხარისთვის დავით გარეჯის გადაცემის ამბავი გამკვირვებია, რადგან მანიაკმა უსამშობლო ტირანმა საკუთარი პირით თქვა, გადაწყვეტილება მივიღე და სტრატეგიული სიმაღლეები აზერბაიჯანს გადავეციო;

არც თურქეთის შიდა რეისებში ბათუმის ჩასმა გამკვირვებია, მხოლოდ ის მიკვირს, ვინც ეს ყველაფერი და კიდევ ბევრი რა ჩაიდინა, რატომ არის დღემდე პრივილეგირებული პატიმარი, რატომ არ იხდის სასჯელს იქ, სადაც მასზე ნაკლებად დამნაშავენი სხედან?

„თუ ძლიერი საქართველო გინდა, ღირსება დაუბრუნე ხალხს!" — ურჩია გიორგი ჭყონდიდელმა დავით აღმაშენებელს...

●

ლევან სანიკიძემ გაიხსენა: ლექციას ვატარებდი ალექსანდრე მაკედონელზე. არ ვზოგავდი თავს ჩემი მხრიდან, რომ არაფერი დაკლებოდა მის ბრწყინვალებას; რომ მას მსოფლიოში ანალოგია არ ჰყავს და ა. შ. ამ დროს წამოდგა პატარა ბიჭი და მეუბნება:

— მე ვიცნობ უფრო დიდ ადამიანს!

— ვინ არის ის?

— მამაჩემი!

...და, სანამ საქართველოში ასეთი დამოკიდებულება არსებობს მშობელსა და შვილს შორის, გადაშენება არ გვიწერიაო...

**მაია ჭელიძე**





# დადგა დრო, ქართული ნიურნბერგის პროცესი შედგეს!



**რამდენიმე დღის წინ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ ბრიფინგი გამართა, სადაც აღნიშნა, რომ რადიკალურმა ოპოზიციამ 2003-2012 წლებში ქვეყნისა და ხალხის წინაშე მრავალი დანაშაული ჩაიდინა და ის ეროვნულ ინტერესებს დღემდე ღიად უპირისპირდება. საზოგადოებას მათი დანაშაულები ყოველთვის უნდა ახსოვდეს. ამიტომ, პირველივე სასესიო კვირაში დროებითი საგამოძიებო კომისია შეიქმნება, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ და მისი სატელიტების დანაშაულების გამოძიებაზე იმუშავებს.**

**როგორც მდინარაძემ განაცხადა, 2003-2012 წლების რეჟიმის შეფასებას ქვეყნის შეუფერხებელი განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ ინიციატივას „ერთიანი ნეიტრალური საქართველო“ გამოეხმაურა და როგორც აღინიშნა, პროკურატურაში წარსადგენად მზადდება მასალები. ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებრივი მოძრაობის ერთ-ერთ დამფუძნებელს, ნანა პაპაბაძეს ვესაუბრეთ:**

**— ქალბატონო ნანა, რა მიზანს ისახავს თქვენს მიერ პროკურატურისთვის „ნაცმოძრაობის“ დანაშაულების ამსახველი მასალების წარდგენა?**

— პირველ რიგში, ჩვენი მიზანი სამართლიანობის აღდგენაა, რასაც ავტომატურად დამნაშავეთა დასჯა მოჰყვება. ათასობით ნაწამები პატიმრის, მოკლული ადამიანის უკან კონკრეტული დამნაშავეები დგანან. როდესაც რეჟიმის გასამართლებაზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ კონკრეტული ადამიანების უფლებების დაცვას. წარმოიდგინეთ, სხვა დანაშაულებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ათი ათასზე მეტ ბიზნესმენს, რომელთა ქონებაც სააკაშვილის ხელისუფლებამ უკანონოდ მიიტაცა, პროკურატურაში საჩივარი აქვს შეტანილი. ჩვენ მოვითხოვთ, იმ საქმეებმა, რომლებიც წლებია თაროზეა შემოდებული, დღის სინათლე იხილონ, სხვაგვარად სამართლიანობა ვერ აღდგება. საქმეებზე, რომელთაც ხანდაზმულობის ვადა არ გასვლიათ, გამოძიება დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს. ამის შემდგომ პარლამენტში ამ რეჟიმის პოლიტიკური შეფასება უნდა მოხდეს, საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღოს და რეჟიმს პოლიტიკური საქმიანობა აეკრძალოს.

როგორც იცით, ახლა „ნაცმოძრაობა“ ოპოზიციაში ოთხი პარტიით არის წარმოდგენილი. ჩვენ გვინდა საზოგადოებას დავანახოთ, რომ რეალურად ეს ერთი პარტია და ის ადამიანები არიან, რომლებმაც პოლიტიკური რეჟიმი შექმნეს. მაგალითად, სააკაშვილის რეჟიმის პროკურორი ნიკა გვარამია, რომლის სახელს არაერთი დანაშაული უკავშირდება. იგი ახლა პარტია „ახალის“ შემქმნელად მოგვევლინა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დამნაშავე აღარ არის. ანუ, ნაცები კი არ უნდა აკრძალოთ, არამედ დანაშაულების ყველა შემქმნელი, რომელიც ახლა სხვადასხვა პარტიას არის ამოფარებული და ხელებს ასავსავებს — ნაცებთან არანაირი კავშირი არ მაქვსო. „ერთიანი ნეიტრალური საქართველო“ გეგმავს, დანაშაულების მასალები მოაგროვოს და პროკურატურას გადასცეს. ავიღოთ თუნდაც ხაზარაძე, რომელსაც „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ფაქტობრივად, გლდანის ციხეში ფილიალი ჰქონდა გახსნილი და პატიმრებს ფულს სძალავდა, რასაც შემდგომ ნაცების საარჩევნო ყულაბაში რიცხავდა. ახლა პარტია „ლელოს“ დამფუძნებელია და ამიტომ ყველაფერი უნდა ეპატიოს?! იგი ამ პროცესში უშუალოდ მონაწილეობდა.

ჩემთან ოფისში შემოდიოდა პატიმრების საქმეები, რომლებიც ხაზარაძეს ფულის გამოძალვის გამო უჩიოდნენ. ერთ-ერთ პატიმარს ხელი მოაწერინა იმაზე, რომ მას მილიონ ლარზე მეტი საარჩევნოდ ნაცების ანგარიშზე გადაერიცხა. სწორედ ამ და სხვა მრავალი მასალის წარდგენას ვაპირებთ. პროკურატურას ამ საქმეების წარმოებაში უნდა დავეხმაროთ. „ქართული ოცნება“ 2012 წელს ხალხს სამართლიანობის აღდგენას დაჰპირდა. იგივე დაპირება გაჟღერდა ახლაც 26 ოქტომბრის არჩევნების წინ. მაშინ, დასავლეთის ზეწოლის გამო ეს დანაპირები ვერ შესრულდა. დღეს დადგა დრო, ხალხს საკუთარი შელახული უფლებები აღვუდგინოთ. რაც მთავარია, კრიმინალური ფაშისტური რეჟიმი უნდა გავასამართლოთ და პოლიტიკური საქმიანობა ავუკრძალოთ.

**— საგამოძიებო კომისია ამ საქმეებზე ექვსი თვე იმუშავებს. რა მოლოდინები გაქვთ?**

— დიახ, დროებითი საგამოძიებო კომისია მოპოვებულ მასალებს ექვსთვიანი მუშაობის შემდეგ პროკურატურას გადასცემს, რითაც მას იურიდიული მსვლელობა მიეცემა. მთავარია, ეს პროცესი, ერთი მხრივ, პოლიტიკური, ხოლო მეორე მხრივ, სამართლებრივი მიმართულებით დაიწყოს. რეჟიმი უნდა შეფასდეს როგორც სამართლებრივად, ისე პოლიტიკურად.

**— „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ დამფუძნებლებმა კონფერენციაზე განაცხადეთ, რომ გამოძიებული უნდა იქნას არამხოლოდ 2003-2012 წლების დანაშაულები, არამედ შემდგომიც. კერძოდ, რა იგულისხმება?**

— „ნაცმოძრაობა“ საკუთარ ქვეყანაში სხვა ქვეყნების ინტერესებს ლობირებს სამშობლოს ინტერესების საწინააღმდეგოდ. დიახ, ეს მხოლოდ მისი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში კი არ ხდებოდა, არამედ ოპოზიციაში გადაბარგების შემდგომაც. ავიღოთ თუნდაც კანონი გამჭვირვალობის შესახებ, რაც ხელისუფლებამ საკუთარი ქვეყნის ინტერესების დასაცავად მიიღო. ამ კანონის თანახმად, საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, რაში ხარჯავენ არასამთავრობო ორგანიზაციები უცხოეთიდან შემოსულ თანხებს. ოპოზიციამ და ნჯო-ებმა ამ კანონს რუსული დაარქვეს და გარედან შემოსული უცხო ფულით რევოლუციისთვის, ხელისუფლების დამხობისთვის მზადება დაიწყეს, რაც აშკარად ანტიკონსტიტუციური ქმედებაა.

რა თქმა უნდა, გამოსაძიებელია, რატომ მოხდა კანონზე ასეთი გალაშქრება, ვისგან მოდის ქვეყნის გადატრიალების მოწყობის დავალება და ა. შ. აშკარაა, რომ გარედან შემოსული დაფინანსება ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებს არ ემსახურება. ასეთი ბევრი ფაქტი არსებობს, თუ როგორ ცდილობს „ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტი ნჯო-ები, მედიასაშუალებები ქვეყნის იმიჯის შელახვას, ეკონომიკის ჩამოქცევას. და, რაც მთავარია, ამას ანტიკონსტიტუციური ქმედებებით ახორციელებენ — არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც, აპოლიტიკური უნდა იყვნენ (ეს პირდაპირ გვიწერია რეგისტრაციის შესახებ კანონში) ღიად არიან პოლიტიკაში ჩართულნი და ქვეყანაში პირდაპირ ჩრდილოვანი კაბინეტის, ორხელისუფლებიანობის შექმნას ლობირებენ. ეს ანტიკონსტიტუციური ქმედებაა, რაზეც გამოძიება უნდა ჩატარდეს.



**— ქალბატონო ნანა, მდინარაძემ აღნიშნა, რომ საქართველომ ნიურნბერგის გამოცდილება უნდა გაიზიაროს. თქვენ ერთ-ერთი პირველთაგანი ხართ, ვინც ნაცების გასამართლებას და ქართული ნიურნბერგის მოწყობას ითხოვდა...**

— დიახ, ჩვენ ეს საკითხი 2013 წლის დასაწყისში დავაყენეთ. როგორც გახსოვთ, მაშინ სპორტის სასახლეში ათი ათასზე მეტი უშუალოდ რეჟიმის მიერ დაზარალებული ადამიანი შევკრიბეთ და დავაყენეთ მოთხოვნა, რომ რეჟიმი გასამართლებულიყო. დაზარალებულთა ხელმოწერები და პეტიცია პარლამენტში შევიტანეთ. ამ საკითხის შესწავლას პარლამენტმა რამდენიმე წელი მოანდომა და 2016 წელს, როგორც იქნა, ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტმა ამ საკითხს მისცა ის შეფასება, რასაც მოვითხოვდით. დარჩენილი იყო მხოლოდ ერთი მთავარი საკითხი — აღნიშნული საქმეები პროკურატურას გადასცემოდა და გამოძიებები დაწყებულიყო. თუმცა, ეს პროცესი შუა გზაში შეწყდა. რაც შეეხება რეჟიმის შეფასებას, ეს გადაწყვეტილება 2016 წელს უკვე მიღებულია.

**— „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლების დანაშაულებში უმთავრესი ადგილი 2008 წლის ომს უჭირავს. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, რომ ამ საქმეზე გამოძიების ადრესატები სამხედრო პირები კი არა, არამედ მაშინდელი მაღალჩინოსნები იქნებიან...**

— დიახ, ნიშანდობლივია, რომ სააკაშვილმა მაშინ კონსტიტუციიდან მიზანმიმართულად ამოიღო ღალატის მუხლი. მან ზუსტად იცოდა, რომ ხელისუფლებიდან მისი წასვლის მერე სწორედ ამ მუხლით გაასამართლებდნენ. დიახ, სააკაშვილმა შესანიშნავად იცოდა, 2008 წელს რა დანაშაულიც ჩაიდინა — ომის პროვოცირება. მან ხელი მოაწერა პარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციას, სადაც აღიარა, რომ ომი საქართველოს მხარემ დაიწყო. ბუნებრივია, მან პასუხი უნდა აგოს ტერიტორიების დაკარგვაზე, რის შედეგადაც უამრავი ლტოლვილი მივიღეთ, ეკონომიკურად ქვეყანამ უკან დაიწია... ჩვენ ტერიტორიების გასხვისებასთან დაკავშირებით ორი მუხლი გვაქვს, რომელიც თავისუფლების უვადოდ აღკვეთას ითვალისწინებს. როგორ შეიძლება, ამ საკითხზე გამოძიება არ ჩატარდეს?! ჩვენი უმთავრესი მოთხოვნაც ეს იქნება — ყველაზე დიდი დანაშაული, რაც სააკაშვილის რეჟიმმა ჩაიდინა, სწორედ 2008 წლის ომი იყო, რის შემდეგაც რუსეთს ქვეყნის სტრატეგიული ობიექტები გადასცეს. ამას კონკრეტული დამნაშავეები ჰყავს და ყველამ უკლებლივ პასუხი უნდა აგოს. დიახ, 2008 წლის ომის გამოძიება აუცილებლად შედგება და რეალური დასკვნა დაიდება, თუ რასთან გვქონდა საქმე. ასევე გამოსაძიებელია ისიც, ომამდე ერთი წლით ადრე როგორ გადაერქვა კოდორს სახელი და ზემო აფხაზეთი დაერქვა, გარდა ამისა, ცხინვალის ოლქის საზღვრები რატომ შეიცვალა. დასადგენია, ვინ კარნახობდა ამ ყველაფერს და რისთვის აკეთებდა ყოველივეს სააკაშვილის ხელისუფლება.



**თამარ შველიძე**

# დასავლეთის მოთხოვნების შესრულება საქართველოსთვის ხარაკირის ტოლფასია



*გვესაუბრება საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი ᲗᲐᲛᲐᲠ ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ:*

**— ქალბატონო თამარ, მამუკა მდინარაძემ ბრიფინგზე განაცხადა, რომ დროებითი საგამოძიებო კომისია შეიქმნება, რომელიც რადიკალური ოპოზიციის მიერ 2003 წლიდან 2012 წლის ჩათვლით ჩადენილ დანაშაულებს გამოიძიებს.**

— დიახ, ეს გახლდათ საქართველოს მოსახლეობის დაკვეთა, რისი აღსრულებაც, დასავლეთიდან განხორციელებული ზეწოლის გამო, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ვერ მოხერხდა. პოლიტიკური ელიტა, რომელიც მაშინ ჩამოყალიბდა, სწორედ ამის დასტურია. სამართლის აღდგენას ქვეყნის გარედან ეწინააღმდეგებოდნენ. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის მხარდაჭერა, რაც დღეს დესტრუქციულ ოპოზიციას დასავლეთიდან აქვს. მივესალმები ხელისუფლების გადაწყვეტილებას — სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. დიახ, ეს პრეცედენტი აუცილებლად უნდა შეიქმნას — „ნაცმოძრაობას“ ქვეყნისა და ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულები არ უნდა ეპატიოს. სამწუხაროდ, დღევანდელი ოპოზიციაც ქვეყანაში დესტაბილიზაციას, არეულობის შექმნას ხელს უწყობს. ფაქტობრივად, ისინი უცხო ქვეყნის გავლენის აგენტები არიან, რომლებიც სამშობლოს კეთილდღეობას არად დაგიდევენ. მაშინ, როცა მსოფლიოში რთული ვითარებაა, დესტრუქციული ოპოზიციის ქმედებები გაუმართლებლად მიმაჩნია. ხალხი ქუჩაში დგას და აბსოლუტურად არარეალურ ლოზუნგებს და მოთხოვნებს აჟღერებს. ის, რაც დღეს ხდება, წმინდა ტექნოლოგიების პროდუქტია. ოპოზიცია მისთვის სასურველ რეალობას აკონსტრუირებს, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. გაიძახიან, არჩევნები გაყალბდაო. რეალურად კი, ჩვენთან უფრო კარგად ჩატარდა არჩევნები, ვიდრე ბევრ ე. წ. პოლიარქიულ დასავლურ ქვეყანაში. ასე რომ, მოხარული ვიქნები, თუ 9-წლიანი რეჟიმის ყველა დანაშაული გამოძიებული იქნება, მით უმეტეს, რომ თავადაც იმ რეჟიმის მსხვერპლი ვარ. დიდი სიამოვნებით მივაწოდებ კომისიას განსახილველად ჩემს საქმესაც — მათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან პოლიტიკური ნიშნით გამომიშვეს.

**— მდინარაძემ 2008 წლის ომის საქმეზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ გამოძიების ადრესატები იქნებიან არა სამხედროები, არამედ მაშინდელი მაღალჩინოსნები.**

— დიახ, 2008 წლის ომის საქმე აუცილებლად უნდა გამოიძიონ, რადგან საზიზღა პირდაპირი დანაშაული და სამშობლოს ღალატი. მათ კარგად იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ, ამიტომაც კონსტიტუციიდან ღალატის მუხლი ამოიღეს, რაც დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს. დიდი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ მათი ქმედებები, რაც ომს წინ უძღვოდა, სწორედ იმის წინაპირობა იყო, რათა საქართველოს ტერიტორიები რუსეთისთვის ჩაებარებინათ. ამ დროს, ეროვნული ინტერესიდან გამომდინარე რამეს თუ იტყვი, მაშინვე პრორუსის იარლიყს მოგაწებებენ. არადა, თავად გააკეთეს ყველაფერი ისე, როგორც რუსეთს აწყობდა — ტერიტორიებიც გადასცეს და სტრატეგიული ობიექტებიც. ასე რომ, 2008 წლის ომის საქმე გამოსაძიებელია, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. 2008 წლის ომის გარდა, დანაშაულები ყოველდღიურად ხდებოდა: ქონების წართმევა, უდანაშაულო ადამიანების დახვრეტა, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება და ა. შ. ამ უაზრო ომს პირტიტველა ბიჭები შეეწირნენ და ეს ისე გაასაღეს, თითქოს სხვა გამოსავალი არ იყო.

**— არჩევნების წინ „ქართული ოცნების“ ამ დაპირებაზე დასავლეთს მწვავე რეაქცია ჰქონდა — ხელისუფლება ოპოზიციის აკრძალვას აპირებსო...**

— დასავლეთთან ჩვენი ურთიერთობა გამწვავებულია, რადგან ისეთი მოთხოვნები აქვთ, რისი შესრულებაც ხარაკირის ტოლფასია. მიხარია, რომ ხელისუფლება, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ადეკვატურად იქცევა, ასეც უნდა გაგრძელდეს. კარგი იქნება, თუ ნაცებს და მის სატელიტებს პოლიტიკაში მოსვლა აეკრძალებათ. ეს კარგი პრეცედენტი იქნება, რადგან შემდგომ ოპოზიციამ ველარ გაბედოს ქვეყნისთვის მტრული, გარე ინტერესების გატარება. ოპოზიციის და ხელისუფლების მიზანი საერთო უნდა იყოს — ქვეყნის კეთილდღეობა, მოსახლეობისთვის ეკონომიკურ-სოციალური პირობების გაუმჯობესება. ნაცების გასამართლება ხალხის დაკვეთაა და თუ ხელისუფლება დანაპირებს შეასრულებს, ეს ქვეყანას მხოლოდ წაადგება.

**— ჯო უილსონმა განაცხადა, ტრამპის მხარდაჭერის იმედი ნუ გექნებათო. როგორ ფიქრობთ, რა მოცემულობა გვექნება ინაუგურაციის შემდეგ?**

— ტრამპის ინაუგურაციის შემდეგ საქართველოსთვის გაცილებით ხელსაყრელი ვითარება იქნება. იმიტომ კი არა, რომ ტრამპი დღედაღამ საქართველოს კეთილდღეობაზე ფიქრობს, არამედ იმიტომ, რომ წესრიგი, რომელსაც იგი გვთავაზობს, ჩვენთან თანხვედრაშია. რაც შეეხება ჯო უილსონს, ამერიკაში ლობიზმის ინსტიტუტი ძალიან განვითარებულია. იგი ოპოზიციის ლობისტია, რომელიც იმ მესიჯებს აჟღერებს, რასაც უკვეთავენ. ამერიკა იდეოლოგიურად განსხვავებული ჯგუფების კლასტერია. წესრიგი, რომელსაც ტრამპი მსოფლიოს შესთავაზებს, ჩემი აზრით, საქართველოსთვის ხელსაყრელი იქნება. ოპოზიციურ არხებზე რაც ჟღერდება, ეს მხოლოდ ცრუ პროპაგანდაა და მეტი არაფერი.

**— დასავლეთი ბოლო დროს საქართველოს ირანთან და ჩინეთთან მეგობრობით შეშფოთებულია. უილსონმა აღნიშნა, რომ ჩვენი ამ ქვეყნებთან ურთიერთობა ტრამპისთვის წითელი ხაზია. რატომ წამოიჭრა ახლა ეს თემა?**

— იმიტომ, რომ ტრამპმა პუტინთან შეხვედრა დააანონსა. ამიტომ ვექტორები ირანის და ჩინეთისკენ გადაიტანეს. მავანს ჰგონია, რომ ირანთან და ჩინეთთან აშშ ცუდ დამოკიდებულებაშია. ტრამპი ბიზნესმენია და ამერიკის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. იგი განწყობილია, რომ ამ დიდ მოთამაშეებთან აშშ-ის სასარგებლოდ საერთო ენა გამონახოს. კი ბატონო, აშშ ჩინეთთან დაპირისპირებულია, რაც დღეს მისთვის ყველაზე დიდი გამოწვევაა, მაგრამ ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესია. რაც შეეხება ირანს, ის რეგიონული სახელმწიფოა. ჩვენ იმ მთავრობებთან უნდა ვითანამშრომლოთ, რომლებიც მათი მოქალაქეების მიერ არის არჩეული. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, ამიტომ მრავალვექტორული პოლიტიკა ძალიან კარგია. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩინეთი ამერიკისთვის და ევროპისთვის ყველაზე მსხვილი ეკონომიკური პარტნიორია. ყველა ევროპელი ლიდერი ცდილობს, ეკონომიკური თვალსაზრისით, ჩინეთთან საერთო ენა გამონახოს. აქვე აღვნიშნავ, რომ საგარეო პოლიტიკაში დღევანდელი ხელისუფლება ადეკვატურად იქცევა.

ჩვენ ურთიერთობები უნდა გვქონდეს თუნდაც რეგიონულ ქვეყნებთან. დასავლეთს სურს, მხოლოდ მასთან გვქონდეს ურთიერთობა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ის მოვლენების განვითარებას ფეხს ვერ უწყობს. დღეს ვექტორი იცვლება. ტრამპი რეგიონიდან მიდის. მან მეორე „მონროს დოქტრინა“ გამოაცხადა, რადგან მას ამერიკის როლის საკუთარი ხედვა აქვს. ამერიკას ჰეგემონიის აღმავალი ციკლი აქვს და გადამწყვეტი ღონისძიებების გატარებაა საჭირო. ტრამპის პოლიტიკის პრიორიტეტი წყნარი ოკეანის აუზი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია იქნება. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და იმის მიხედვით უნდა ვიმოქმედოთ, თუ როგორ განვითარდება საერთაშორისო ურთიერთობები.

**— ჯო უილსონის „ქართული კოშმარის არაღიარების აქტს“ საფუძვლად ასადის რეჟიმის არაღიარების აქტი დაედო...**

— ჯო უილსონს მეგობარი აქტიც ხომ აქვს დარეგისტრირებული. მე ამას უფრო მტრულ აქტს ვუწოდებდი, ვიდრე მეგობრულს. ეს ყურით მოთრეული აქტებია, თითქოსდა ხელისუფლებისთვის საფრთხის შესაქმნელად. დაშინების ასეთი მექანიზმები დღეს აღარ მუშაობს. ამიტომ ლობისტი უილსონის ნაბიჯი შედეგიანი ვერ იქნება. რაც შეეხება ასადის რეჟიმს, ის გარკვეული მოლაპარაკებების შედეგად დასრულდა. აქვე, არავინ იცის, რა გადაწყდება ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებით. არსებობს ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკის ტრანსფორმირების გეგმა, რაც ალბათ, მსხვილი მოთამაშეების თანხმობით განხორციელდება.

ივანიშვილი მსხვილი მოთამაშეა. ბედმა გაგვიღიმა, რომ იგი ამ გლობალური მოვლენების განვითარების შესახებ ინფორმაციას ფლობს. თუ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს თვალს მივადევნებთ, დავინახავთ, რომ ყველაფერი კვალიფიციურად არის დაგეგმილი, რაც იმის შედეგია, რომ მმართველი პარტია ინფორმაციებს ფლობს და შესაბამის ნაბიჯებსაც დგამს. მჯერა, ეს ნაბიჯები, მათ შორის, ნაცების და მათი სატელიტების გასამართლება, ქვეყნისთვის სასიკეთო იქნება. დესტრუქციული ოპოზიციის პოლიტიკაში არსებობა, რომელიც ქვეყანას კატასტროფისკენ მიაქანებს, უნდა დასრულდეს.

დიახ, დესტრუქციული ოპოზიცია უნდა ჩაირეცხოს და ცხოვრების ყველა სფეროში ფუნდამენტური ცვლილებები განხორციელდეს. მათ ბევრი რამ გააფუჭეს. რაც მნიშვნელოვანია, ახალგაზრდა თაობა მოწამლეს. ჯერ ერთი, მათი განათლების დონე ძალიან დაბალია. სწორედ ამის შედეგია მოვლენების არაადეკვატური აღქმა. მათ არ ესმით,



რომ, რასაც ეწინააღმდეგებიან, ეს გლობალური პროცესია. ჩვენ ახალგაზრდა თაობაზე, ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ განვითარებასა და რეფორმებზე უნდა ვიფიქროთ. ეს რეფორმები კი ნაცების ჩარეცხვით უნდა დაიწყოს. ისინი ამ უაზრო ჭიდილით, რიტორიკით ადამიანებს სასიცოცხლო დროს ართმევენ. სატელევიზიო ეთერს მხოლოდ იმისთვის იყენებენ, რომ საქართველოს რაღაც დაუშავონ.

**— ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მთავარი გამოწვევაა არ დაუშვან უკრაინიზაცია და „დიფ სტეიტთან“ გამკლავება შეძლონ...**

— მოცემულობა, რაც „დიფ სთეითმა“ შექმნა, დასავლეთისთვის კატასტროფაა. ტრამპმა განაცხადა, ან „დიფ სთეითი“, ან აშშ-ო. ამერიკაში მიმდინარე მოვლენები მთელ მსოფლიოზე დიდ გავლენას ახდენს. პროცესი დაწყებულია, ბრძოლა კულისებს მიღმაც მიმდინარეობს. ეს ადამიანები ადვილად არ გაჩერდებიან, მაგრამ კარგია, რომ ამ საკითხის ლუსტრირება, სააშკარაოზე გამოტანა მოხდა. ადრე „დიფ სთეითზე“ არავინ ლაპარაკობდა. აქამდე გვეუბნებოდნენ, რომ ეს კონსპირაციის თეორია იყო. დღეს ორდენის ტიპის ორგანიზაციების არსებობა, მათი მიზნები სააშკარაოზეა გამოტანილი. იგივე ეხება მასონებს, რაც ადრე ყველას შეთქმულება ეგონა. მასონური ორგანიზაციები სხვა სახის ორგანიზაციებით ჩანაცვლდა, რომლებიც ქვეყნების შიდა პოლიტიკურ პროცესებზეც ძალიან დიდ გავლენას ახდენენ. ამაზე საუბრის დაწყება, დიდი მონაპოვარია. ავიღოთ უნგრეთის პრემიერი, რომელიც ეროვნული ფასეულობების მნიშვნელობაზე საუბრობს. იგი ევროპაში ტრამპის ძირითადი დასაყრდენია. ორბანთან, ასევე, ფიცოსთან ჩვენც კარგი ურთიერთობები გვაქვს. „დიფ სთეითზე“ საუბარი ღიად დაიწყო და ეს ტენდენცია მომწონს. მე დიდი ხანია, ამაზე ვლაპარაკობ, მაგრამ რაღაცნაირად თეთრი ყვავივით იზოლირებული ვიყავი. დღეს ამაზე ლაპარაკი მასობრივად დაიწყო. გარდატეხა უნდა მოხდეს. ორბანს და ფიცოს პრორუსებს უწოდებენ. ჩვენთანაც ეროვნულ ფასეულობებს ახსენებ თუ არა, მაშინვე პრორუსად გნათლავენ. ესეც ხომ ტექნოლოგიის შედეგია. ამ პრობლემაზე ჩვენი ხელისუფლებაც ალაპარაკდა. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ რუსეთი მეზობელი ქვეყანაა და მასთან ურთიერთობები უნდა გავაუმჯობესოთ, რასაც ალტერნატივა არ აქვს. საქართველომ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ივაჭროს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, ის რუსეთსაც სჭირდება ისევე, როგორც ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გადაჭრის გზა, რუსეთზე გადის. ამიტომ დღეს აბსოლუტურად სხვა სახის მოცემულობაა — საერთაშორისო კონიუნქტურა, ურთიერთობების ხასიათი სრულიად იცვლება. ახალი მსოფლიო წესრიგი ყალიბდება თავისი ახალი სტრუქტურით, ფასეულობებით, საერთაშორისო სამართლით და ქცევის ნორმებით. ასე რომ, მეცნიერულად საინტერესო ეპოქაში ვართ, თუმცა ამ პერიოდს ძალიან მტკივნეული კატაკლიზმები ახასიათებს, რაც ადამიანებისთვის ძნელი გადასატანია.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲨᲕᲔᲚᲘᲫᲔ

# რუსთაველის გამზირზე ყოველდღიურად „ვამპუკას“ ვუყურებთ, რაც საქართველოს ნამდვილად არ ეკადრება



*„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი შოთა გლურჯიძე:*

**— ბატონო შოთა, პოლიტიკა გარკვეულწილად, სპექტაკლს ჰგავს. თუ რეჟისორი ნიჭიერია, სპექტაკლიც საინტერესო გამოდის, თუ არა — პირიქით. დღეს რა წარმოდგენები იმართება პოლიტიკურ ავანსცენაზე?**

— სამწუხაროდ, დღეს ბევრმა თეატრმა მუშაობა შეწყვიტა. ახლახან დავდგით მარჯანიშვილის თეატრში საბავშვო სპექტაკლი, მაგრამ სხვა სპექტაკლები არ გადის. როგორც ჩანს, ბავშვებისთვის დაუშვეს გამონაკლისი. მართალი გითხრათ, არ მესმის, ეს გაფიცვა რას ნიშნავს. ვერ ვხვდები, რატომ უნდა გაიფიცოს თეატრი ასეთ დროს. რა დააშავა მაყურებელმა ან მსახიობმა?! რაც რუსთაველის გამზირზე ხდება, ეს ძალიან ცუდი, უგემოვნო სპექტაკლია. ასეთ ძალიან უგემოვნო თეატრალურ ნაწარმოებს, დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ვამპუკას ეძახიან. ადრე რუსეთში დაიდგა ძალიან უგემოვნო ოპერა „ვამპუკა — აფრიკის მეფის ქალიშვილი“, სწორედ ამის შემდეგ დამკვიდრდა ეს ტერმინი. ეს ვამპუკა, რაც ახლა ქუჩაში ხდება, ისეთი დიდი თეატრალური ტრადიციების მქონე ქვეყანას, როგორიც საქართველოა, არ ეკადრება.

**— თავად პოლიტიკური თეატრალური დასი როგორი გვყავს?**

— პოლიტიკოსები საკმაოდ ანგაჟირებული ხალხია. სამწუხაროდ, იდეების მატარებელი ადამიანები პოლიტიკაში ნაკლებად არიან. ძირითადად, საკუთარი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, გამდიდრებაზე ფიქრობენ. ჩემთვის, როგორც რიგითი მოქალაქისთვის, რომელიც გადასახადებს იხდის, აბსოლუტურად სულერთია, ვინ მოიპარავს ბიუჯეტს, ერთი, მეორე, მესამე თუ მეოთხე პარტია. ის, რაც ადამიანებს აწუხებთ, ვთქვათ, პენსია, ხელფასი, შრომის პირობების გაუმჯობესება — ამის გასაპროტესტებლად ქუჩაში არავინ გამოდის. რა გამოდის, ამ მხრივ ხალხი კმაყოფილია?! ვინც გარეთ დარბის, მათ უნდათ, რომ იმ ოთხი პარტიის წევრებმა, რომლებმაც ბარიერი გადალახეს, ბიუჯეტიდან ფული მოიპარონ და პარლამენტში კარგი ხელფასი მიიღონ.

**— ქალაქში ყოველდღიურად სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლების მარში იმართება...**

— და რას ითხოვენ? — რა თქმა უნდა, ხელახალ არჩევნებს. რეალურად პროტესტი შემდეგი რამის გამოა — ოპოზიციას უნდა, კვლავ ხელისუფლებაში მოვიდეს. მე ეს საკითხი არ მაწუხებს. კარგია, რომ ჩაიარა იმ პერიოდმა, როდესაც პარლამენტს წვავდნენ, რისთვისაც მადლობა სამართალდამცავ ორგანოებს უნდა ვუთხრათ. მთავარია, ქალაქი არ გადაწვან და აქეთ-იქით რამდენიც უნდათ, იარონ. სახელმწიფო თუ აპირებს, რომ ამ ხალხს ხელფასები მაინც გადაუხადოს, მიუხედავად იმისა, რომ არაფერს აკეთებენ, გაფიცულები არიან — ექიმი პაციენტს არ ემსახურება, მსახიობი სცენის ნაცვლად ქუჩაში დგას, რა გაეწყობა. თუ ეს პროცესი აგრესიულ ფორმას არ მიიღებს და სამსახურის მერე რუსთაველის გამზირზე ივლიან, დაე, იარონ.

თუმცა, ამბობენ, რომ 15 იანვრიდან, როცა საცივიდან თავს ამოყოფენ, კვლავ რადიკალურ ქმედებებზე გადავლენ. თუ რევოლუციის მოწყობა მოახერხეს და აქ სამოქალაქო ომი და დაპირისპირება დაიწყო, ამას ქვეყნის ანექსია მოჰყვება და მერე, დიდი ხანი ისევ თავისუფლებისთვის ბრძოლა მოგვიწევს, რათა როგორმე დამოუკიდებლობა დავიბრუნოთ. თან ანექსია მხოლოდ ერთი მხრიდან კი არ განხორციელდება, არამედ მსურველი ბევრი გამოჩნდება ისევე, როგორც სირიაში მოხდა — თურქეთმა, ისრაელმა, ქურთებმა, ყველამ თავისი „წილი“ წაიღო. თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, მსგავსი პროცესები აქაც დაიწყოს. ჩვენი ქვეყანა სირიას ძალიან ჰგავს — მრავალეთნიკურია, აქ ბევრი სხვადასხვა რელიგიისა და შეხედულებების ხალხი ცხოვრობს, რომლებიც შესაძლოა, ადვილად აიყოლიონ. კონკრეტულად არ დავასახელებ, მაგრამ საქართველოს მიმართ ინტერესები თითქმის ყველა მეზობელს აქვს. აქედან გამომდინარე, საქართველო, როგორც სირია და უკრაინა, რამდენიმე ნაწილად გაიყოფა. ხალხს, რომელიც ქუჩაში დგას, ჭკუა არ აქვს. მათი მიზანი, ვინც პირდაპირი აგენტები არიან და ამას შეგნებულად აკეთებენ, გასაგებია. ამ კატეგორიას უშიშროებამ უნდა მიხედოს, მაგრამ რას ფიქრობს ის ხალხი, ვინც ამ აგენტებს აყოლილია და ამ ყველაფერს უმეცრებით აკეთებს?! ვიმეორებ, მათმა ქმედებამ შესაძლოა, არაერთი მხრიდან საქართველოს ანექსია გამოიწვიოს და მერე მხოლოდ ჩელიაბინსკში კი არ მოხვდებიან, არამედ შეიძლება, სტამბულის ბაზარზეც ამოყონ თავი.

**— როგორ უყურებთ ამ პროცესში ახალგაზრდების ჩართულობას?**

— „ქართულმა ოცნებამ“ განათლების სისტემაში არაფერი შეცვალა — სკოლებში, უნივერსიტეტებში ისევ ნაცებისდროინდელი ლექტორები ასწავლიან. ასე რომ, გასაგებია, რატომაც არიან ახალგაზრდები დეზორიენტირებულები. მათ უმეტესობას არ სურს, რომ ეს ბარიერგადალახული ოთხი პარტია ხელისუფლებაში მოვიდეს. მაშინ თავად შექმნან პარტია, მაგრამ ეს რთულია. დღეს ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული. პარტიის ქონის, მისი რჩენის საშუალება სტუდენტობას არ აქვს. ეს მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნის აგენტებს შეუძლიათ. „ქართული ოცნებიდან“ ბევრმა, როგორც კი ბრძანება მიიღო, ოპოზიციაში ისკუპა. ანუ, ნათლად გამოჩნდა, ვინც იყო „ქართულ ოცნებაში“ აგენტურა. აგერ, ყველამ ხომ დავინახეთ თვალხილულად, რომ ქვეყნის პირველი პირი — სალომე ზურაბიშვილი უცხო ქვეყნის აგენტია.




**— ოპოზიცია გვიმტკიცებს, ქართველმა ხალხმა უკვე გაიმარჯვა და მისი მოთხოვნა ხელახალი არჩევნების ჩატარების შესახებ აუცილებლად დაკმაყოფილდებაო.**

— ვატყობ, ეს ორი მხარე ერთმანეთში ვერ შეთანხმდება, ამიტომ, თუ ძალიან სიხარბეს არ გამოიჩენს, ასეთ წინადადებას შევთავაზებ, იქნებ, კიდეც დათანხმდნენ: ორივემ ბიუჯეტიდან თანხა იმის პროპორციულად მოიპაროს, რამდენი ხმაც აიღეს. ანუ, ერთმა ბიუჯეტიდან 54% მოიპაროს, მეორემ — 46%. ოღონდ, ჩვენ გადასახადები არ გაგვიზარდონ. ქართველებს სიხარბე გვღუპავს, თორემ იმ ქვეყნებში, საითაც ესენი ჩელიაბინსკიდან მიისწრაფვიან, ეს საკითხი „მოწესრიგებულია“ — ყველა თავისთვის იპარავს.

**— ოპოზიციის მხრიდან სპექტაკლებს, პერფორმანსებს მიჩვეული ვართ. თუმცა, მაინც სად უფრო დიდი სარეჟისორო ნიჭია საჭირო — სცენაზე თუ პოლიტიკაში?**

— მგონია, რომ აქ მაყურებლის სერიოზული დეგრადაცია მოხდა. სპექტაკლი ხომ მაყურებელს სჭირდება. დადგმა ასეთი მდარე იმიტომ არის, რომ მაყურებლის განათლების, გემოვნების დონეც დაეცა.

**— თეატრის მსგავსად, პოლიტიკაშიც ვხვდებით კომედიური და დრამატული ჟანრის სპექტაკლებს. „ნათელაშვილის ფანჩატური“ ამის ნათელი გამოხატულება იყო, ახლა კი ამ ჟანრში ზურაბიშვილი დაწინაურდა...**

— მთავარია, ეს კომედია ტრაგედიაში არ გადაიზარდოს. ხომ შეიძლება ანექსია, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ, ტრაგი-კომედიად გარდაიქმნას და ამ თამაშებმა უმძიმეს ვითარებაში ჩაგვაგდოს. არც ბაშარ ასადს ეგონა, რომ უცებ უბედურების ზარი ჩამოჰკრავდა და თავისი მილიონებით მოსკოვში აღმოჩნდებოდა. მას ეგონა, 25-წლიანი მმართველობა კიდევ გაგრძელდებოდა, მაგრამ რამდენიმე დიდი მოთამაშე: თურქეთი, რუსეთი, ისრაელი, ქურთები შეთანხმდნენ და სირია მშვენივრად გაინაწილეს. აქაც შეიძლება იგივე მოხდეს. სახიფათო ზონაში ვართ.

ზურაბიშვილს რაც შეეხება, სად წავიდა, ახალი სასახლე აუშენეს?! ორი პრეზიდენტი ხომ გვყავს, ერთი ოპოზიციის, მეორე — „ქართული ოცნების“. ჰოდა, რა დაშავდება, ჩემ მიერ მოწოდებული იდეაც რომ აიტაცონ და ბარემ, ორი ბიუჯეტიც იყოს, ერთმა 54% განკარგოს, მეორემ — 46%. თუ შეთანხმდებიან, ჩვენც მოვისვენებთ, ქუჩაში მდგომი ხალხიც სახლში წავა და საქმეს მიხედავს.

**— როგორი მსახიობები არიან ქვეყნის ყოფილი პირველი პირები — ზურაბიშვილი და სააკაშვილი?**

— ზურაბიშვილის მიმართ ყველაზე ნაკლები პრეტენზია მაქვს, იგი ერთი ქვეყნის ერთგული მაინც არის, იმისა, სადაც დაიბადა, გაიზარდა. დიახ, თავისი ქვეყნის ერთგული და მისი უშიშროების დამსახურებული ოფიცერია. სააკაშვილს რაც შეეხება, იგი ყველას დაავიწყდა, „ფრი მიშას“ იდეაც მიმქრალია. თავადაც მიეჩვია მგონი, „ვავამედში“ ყოფნას და თავს კომფორტულად გრძნობს.

**— სამაგიეროდ, კოენს ახსოვს, რომელიც მის გათავისუფლებას აქტიურად ითხოვს, არც რეზოლუციებში მისი მოხსენიება ავიწყდებათ...**

— კი, რეზოლუციებში და ლოცვებში იხსენიებენ. კარგია, კოენს და ევროპელებს მაინც რომ ახსოვთ და იხსენიებენ. აბა, ამათ სულ მიივიწყეს.

**— ქართულ პოლიტიკურ თეატრში დასავლეთის ჩართულობაზე რას ფიქრობთ?**

— არ მგონია, მათ დღის წესრიგში საქართველოს საკითხი უმთავრესი იყოს. ჩვენ დასავლეთისთვის მაინც კოლონია ვართ. ბევრად მნიშვნელოვანი ახლო აღმოსავლეთის, ტაივანის, სირიის, უკრაინის საკითხებია გადასაწყვეტი. დიახ, ჩვენ მათი დღის წესრიგის პირველ რიგებში არ ვართ, რაც კარგია. რაც ნაკლებად ვიქნებით განსახილველ მთავარ სიაში წარმოდგენილი, ე. ი. საქმე მით უფრო კარგად გვაქვს. რაც უფრო დიდხანს შევინარჩუნებთ მათ ნიუსებში უკანა რიგებში ყოფნას, მით უკეთესი იქნება საქართველოსთვის.

**— უილსონმა და კოენმა კონგრესს „ქართული კოშმარის არაღიარების აქტი“ წარუდგინეს, რომელიც ხელისუფლების წევრების დასანქცირებასაც გულისხმობს...**

— თაკო, მე იმდენად ღატაკი ვარ, რომ სანქციების არ მეშინია. აქვე ერთი რამ მინდა ვთქვა, ივანიშვილი „ვარდების რევოლუციიდან“ მოყოლებული, საქართველოში უამრავ ვინმეს და რამეს აფინანსებს. მან ნაცებს ხელფასი დაუნიშნა, რათა ბიუჯეტი ნაკლებად მოეპარათ, თუმცა მაინც იპარავდნენ. თუ იგი პოლიტიკოსების დაფინანსებას შეწყვეტს, მას აუგად აღარ ახსენებენ. იმიტომ, რომ ივანიშვილს, ძირითადად, მის მიერ დაფინანსებული ხალხი აძაგებს და აგინებს. მიშაც მისი გამოზრდილია და ხუხაშვილიც, ასევე,მსსახიობები, მომღერლები მის დაფინანსებას დღემდე იღებენ. აი, სწორედ ეს ხალხი აგინებს. თუ იგი პერსონების დაფინანსებას შეწყვეტს და მხოლოდ კეთილი საქმეების გაკეთებას განაგრძობს, მათ შორის, ეკლესიების რესტავრაციას, ნაკლებს შეაგინებენ და მისი ოჯახიც, ღმერთმა კარგად ამყოფოს, უფრო მშვიდად იცხოვრებს.

ზემოთ მარშები ვახსენეთ და ყველაზე მრავალრიცხოვანი, გრანდიოზული მარში იცით, რომელი იქნება, ივანიშვილის მიერ დაფინანსებულების, უმადურების მარში, რომელთაგან ზოგი სიკვდილს გადაარჩინა, ზოგს ბიზნესი გადაურჩინა, ზოგს სახლი უყიდა. ესენი თავიანთი ოჯახებით თუ გამოვლენ, ყველაზე მასშტაბური მარში გაიმართება.

**— მალე ტრამპის ინაუგურაცია გაიმართება, სადაც ზურაბიშვილიც არის მიწვეული. რა მოლოდინი გაქვთ?**

— ზურაბიშვილი ინაუგურაციაზე მეც თუ წამიყვანს, ურიგო არ იქნება, იქ მგონი, კარგი პურ-მარილი უნდა იყოს.

**— ხშირად ისმის, რომ ჩვენი ბედი უკრაინაში წყდება. რეალურად, რა ხდება?**

— სანამ ამ პროვინციული აზრით, მონური ფსიქოლოგიით ვიქნებით შეპყრობილი, რომ ჩვენს ბედს ვიღაც წყვეტს, მანამდე არაფერი გვეშველება. ამ სისულელეში ოცდაათი წელი გავიდა. მგონი, საქმე გაცილებით მარტივადაა — სადარბაზოში ნაგავი არ დავყაროთ, სამსახურში დროულად მივიდეთ, ვიშრომოთ, ოჯახებს მოვუაროთ და ვილოცოთ. იმიტომ, რომ ტრამპი და ევროკავშირი კი არა, იმაზე დიდი მფარველი საქართველოს, ვიდრე ქრისტე ღმერთი და ღვთისმშობელია, არც ჰყოლია და არც ეყოლება. აი, ამ გზას უნდა მივყვეთ.

**თამარ შველიძე**

# მომავალ თაობას ვკარგავთ, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვება



*გვესაუბრება მწერალი თამაზ ხმალაძე:*

**— ბატონო თამაზ, სასკოლო განათლება ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. სკოლა ქმნის საფუძველს, რათა სამომავლოდ ადამიანებმა ის უნარები შეიძინონ, რაც მათ საკუთარი თავის სრულფასოვან რეალიზებაში დაეხმარებათ. განათლების ხარისხის მხრივ დღეს რა ვითარებაა სკოლებში?**

— საქმე ის გახლავთ, რომ უკვე წლებია, უმაღლესი სასწავლებელი სკოლას საყვედურობს, მოსწავლეებს სათანადოდ ვერ ამზადებთო. სკოლა კი, პირიქით, უმაღლეს სასწავლებლებს არასათანადოდ მომზადებული კადრების — პედაგოგების არასაკმარისი ცოდნის გამო საყვედურობს. ანუ, მასწავლებლების ცოდნის დონეზე პასუხისმგებელი უმაღლესი სასწავლებელია. ორივე დაწესებულება — სკოლაც და უნივერსიტეტიც ისეა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ ძნელი გასარჩევია, რომელი უფრო ტყუის, ან მეტად დამნაშავეა. საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, ასეა — სწავლების ხარისხთან დაკავშირებით, სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი მუდმივად ერთმანეთს ემდურიან.

დიახ, დღეს განათლების ხარისხის კუთხით საგანგაშო, შემაშფოთებელი ვითარებაა. ეს თუ არ გამოსწორდა, ქვეყანას არაფერი ეშველება. სკოლებშიც და უნივერსიტეტებშიც ზრდიან მომავალ თაობას, საზოგადოების წევრებს ისე, რომ ქვევრივით რასაც ჩასძახებ, უკან იგივე ამოგძახონ. ეს მხოლოდ საქართველოს ჭირი როდია, დღევანდელ მსოფლიოშიც ასე ხდება — ხელისუფლებას მოაზროვნე, ჭკვიანი, განვითარებული საზოგადოების წევრები კი არ სჭირდება, არამედ ქვევრები, რომლის დანიშნულებაც უკვე მოგახსენეთ: რასაც ჩასძახებენ, ის უნდა ამოსძახონ. არადა, ქვევრის დანიშნულება ის არის, რომ იქ წმინდა ღვინო იყოს. ადამიანს მორალური, ზნეობრივი სული უნდა ჰქონდეს, იმ მირონივით ღვინის მსგავსად, რომლის წმინდად შენახვაც ქვევრის დანიშნულებაა.

**— 90-იანი წლების მერე, განათლების სისტემა საბჭოთა სწავლებიდან ახალ ეტაპზე გადავიდა და დაუსრულებელი რეფორმები დაიწყო, რაც დღემდე გრძელდება. რა მისცა სკოლას ამ რეფორმებმა?**

— გაუთავებელი რეფორმები, საბჭოთა პერიოდშიც მახსოვს. თავდაპირველად სკოლაში ათწლიანი სწავლება იყო, მე სწავლა თერთმეტი წელი მომიწია. ხრუშჩოვის დროს კვირაში ორი დღე საწარმოო სწავლება შემოიღეს, რაც შემდეგს გულისხმობდა: სოფელში მაცხოვრებელი სკოლის მოსწავლეები მერვე კლასიდან კვირაში ორი დღეს მინდორში გადიოდნენ და ფიზიკურად შრომობდნენ, ხოლო ვინც თბილისში ვცხოვრობდით, ქარხნებსა და ფაბრიკებში ვმუშაობდით. პირადად მე ოთხი წელი კვირაში ორი დღე ხალიჩების საქსოვ ფაბრიკაში მუშაობა მიწევდა, რაც, რა თქმა უნდა, სწავლის ხარისხს მნიშვნელოვნად ამცირებდა. მოგვიანებით ფაბრიკა, სადაც ვმუშაობდი, დაიხურა და სხვაგან გადამიყვანეს მებაღე-დეკორატორად. სკოლა რომ დავამთავრე, მებაღე-დეკორატორის დიპლომიც მომცეს. შემდგომ სწავლა უნივერსიტეტში ერთდროულად ორ ფაკულტეტზე (დღის და საღამოს დაუსწრებელზე) განვაგრძე. მიუხედავად ყველაფრისა, თუ მოინდომებდი, სწავლას შეძლებდი. ახლა სწავლების მხრივ გაცილებით მძიმე მდგომარეობაა.

როგორც მოგახსენეთ, გაუთავებელ რეფორმებს ბოლო არ უჩანს. საქმე უკეთესობისკენ რომ მიდიოდეს და შედეგს, პერსპექტივას ვხედავდეთ, სულ სხვა იქნებოდა, მაგრამ პროცესი უარესობისკენ მიდის. ჩვენი დიდი პედაგოგები ამბობდნენ, რომ ეროვნული სკოლა ორ ძირითად პრინციპს — ზნეობრიობასა და მამულიშვილობას, პატრიოტიზმს უნდა ეფუძნებოდეს. დღეს რასაც ვუყურებ, არც ერთი გვაქვს და არც მეორე — ვერც ზნეობრიობას ვამჩნევ სადმე და ვერც პატრიოტიზმს. გერონტი ქიქოძე თავის ნაწარმოებში „ეროვნული ენერგია" ამბობს: „ჩვენი სამშობლოს ასაღორძინებლად მარტო პოლიტიკური ბრძოლა არ კმარა, ეროვნული განათლება ხელოვნების შემწეობით უნდა მოხდეს. მშვენიერების ძიებამ, განცდამ ფართო სოციალური ხასიათი უნდა მიიღოს, დემოკრატია რჩეული სულის მეშვეობითა და მეოხებით უნდა გაკეთილშობილდეს". ასე რომ, დემოკრატია თუ არ გაკეთილშობილდა, დღეს არსებული ქვეყნის საუკეთესო მმართველობად ვერ ჩაითვლება.

**— ბატონო თამაზ, ერთი წლის წინ ზოგადი განათლების რეფორმის პრეზენტაცია შედგა. მაშინ პრემიერმა ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა ოცი წლის მერე პირველად განახლდებოდა, რაშიც სწავლების მიზნების სრულიად შეცვლაც იგულისხმებოდა. რაც მთავარია, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახალი მიდგომები ტრადიციულ ფასეულობებზე დაყრდნობით უნდა შემუშავებულიყო. რას მოუტანს განათლების ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრული ეს ცვლილებები სკოლას და დღეს რა მოცემულობა გვაქვს?**

— ცოტა ხნის წინ წიგნის პრეზენტაციაზე მთავრობის ერთ-ერთ მინისტრს შევხვდი, რომელიც ასევე ვიცე-პრემიერიც იყო და განათლების საკითხებსაც კურირებდა. მის მიმართ, კულტურის სფეროში განხორციელებული რიგი ქმედებების გამო, მადლიერება გამოვხატე. მან „ფეისბუქზე" დაწერა: ჩვენ სანქციებით ვერავინ შეგვაშინებს, რადგან სამშობლოს სიყვარულს სანქციებზე არ გავცვლით, ჩვენ „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს, სხვა ქვეყნის სამოთხეზედა", — ამ ლექსზე გავიზარდეთო. მას შევეკითხე: ნუთუ, აღარ გვჭირდება ისეთი ადამიანების აღზრდა, როგორებიც ამ და სხვა პატრიოტულ ლექსებზე აღზრდილები იყვნენ და რომელთაც სამშობლო უზომოდ უყვარდათ?! საკაშვილის ხელისუფლებამ პატრიოტული ლექსები სწავლებიდან რომ ამოიღო, თორმეტი წლის განმავლობაში რას ელოდებოდით, რატომ უკან არ აბრუნებთ-მეთქი?! იგი პრეზენტაციის მერე ჩემთან მოვიდა და მაკოცა. დღეს ეს პიროვნება მინისტრი აღარ არის. ისმის შეკითხვა: რატომ არ უნდა იცოდეს ახლანდელმა სკოლის მოსწავლემ ლექსი „მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი და განცხრომით სხვაგან ყოფნას, მირჩევნია აქ სიკვდილი". რატომ არ უნდა იზრდებოდეს ქართველი ბავშვი ამ სულისკვეთებით?! „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა", — მომავალი თაობა აი, ამ იდეით უნდა იზრდებოდეს.

ჩვენ, ჟურნალისტები, ფილოლოგები, ენის სპეციალისტები, ძირითადად, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხებზე ვსაუბრობთ. თუმცა, ასევე, წარმოუდგენლად მძიმე ვითარებაა სხვა საგნების სწავლების მხრივ. საგნებს, სახელმძღვანელოებსა და პროგრამებს შორის არავითარი კოორდინაცია არ არსებობს. მაგალითად, მათემატიკის საგანში ლოგარითმები მე-10 კლასიდან ისწავლება, ამ დროს ქიმიის საგანში ლოგარითმების შესწავლა უკვე მე-7 კლასიდან სჭირდებათ. ქიმიის მასწავლებელი ვალდებული არ არის, მათემატიკაც იცოდეს. ასე რომ, ქართულის სწავლებაში კი გვიჭირს, მაგრამ სხვა საგნებშიც არანაკლებ მძიმე ვითარებაა. ამის გამოსასწორებლად ერთი-ორი წელი არ კმარა. გასულ წელს კი წარადგინეს ეროვნული სასწავლო გეგმა, მაგრამ ცვლილებები ასე უცებ ვერ მოხდება. ღმერთმა ქნას, რასაც გვპირდებიან, ყველაფერი გაკეთდეს. ალექსანდრე ჭავჭავაძე ლექსში „პყრობილისაგან თანაპყრობილთა მიმართ" წერდა: „მე ამას ვჰსტირი განაწირი, ვაჰ თუ ვესწრა ვერ!.. თვარაღა ჟამი, გულთ მაამი, კვლავცა იქნების". იგი იმედიანად იყო, მე კი ვიცი, ველარ მოვესწრები იმას, რომ გულთ მაამი ჟამი დადგება.

**— როგორ ფიქრობთ, რას უნდა მიენიჭოს მთავარი როლი სწავლების ახალ სისტემაში, რა უნდა იყოს პრიორიტეტი? დღევანდელ სკოლას ბევრი პრობლემა აქვს: როგორც აღნიშნეთ, სასკოლო პროგრამიდან ამოღებულია ეროვნული მასალა, საატესტაციო გამოცდები გაუქმებულია...**

— უნივერსიტეტში პედაგოგიკას უბადლო სპეციალისტი დავით ლორთქიფანიძე მასწავლიდა. უმაღლესი შეფასება მივიღე. ასე რომ, რაღაც მეც გამეგება. რა თქმა უნდა, ყველა ეპოქაში სწავლებასაც და ცოდნის მიღებასაც თავისებურად უნდა მივუდგეთ, რადგან სხვადასხვა დროს წინა პლანზე გარკვეული საკითხები იწევს ხოლმე. ამ კუთხით საზოგადოების მომზადებაა საჭირო. არცთუ დიდი ხნის წინ, ცნობილი ლიტერატორი ვანო ამირხანაშვილი წერდა: „მოდის ახალი ტალღა, ახალი ქიმერა, ახალი რწმენა. ეს არის ფულის რელიგია, რომელმაც არ იცის არც ზნეობა, არც მორალი, იცის მხოლოდ ანგარიში და კიდევ ის, თუ როგორ გადაახურდავოს რიგითი მოქალაქე სამშობლოს მოღალატედ". ასე კარგად დღევანდელობა ცოტა ვინმეს თუ ექნება აღწერილი. აქაც ყურადღება ზნეობაზე მახვილდება.



ილია ჭავჭავაძემ სოხუმში ასეთი სიტყვები წარმოსთქვა: საშინელებაა როცა მტერი მოდის არა ხმლით, არამედ ფულით. ჩვენ თუ შესაფერისი იარაღით არ დავხვდით და ისევ ხმლით შევებრძოლეთ, მაშინ უეჭველი წავაგებთო. ბავშვები ისე უნდა აღვზარდოთ, რომ ფულის რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა შეძლონ. ეს გლობალური პროცესია, რაც ყველგან ხდება. ქართველებს ჩვენი სადარდებელი გვაქვს, პატარა ერების საწუხარი დიდი ერებისაგან ყოველთვის განსხვავდება. პატარა ერის უპირველესი მიზანი გადარჩენაა, დიდ ერს ეს არ აწუხებს, მის წინაშე ეს პრობლემა არ დგას — დღეს ვარ და ვაითუ, ხვალ აღარ ვიყოო. ილია ამბობდა, პატარა ერი თვითგადარჩენისთვის უნდა იბრძოდესო. ჩვენ ჯერ დამოუკიდებლობა უნდა მოვიპოვოთ და მერე თავად გადავწყვიტოთ, როგორი მოწყობის იქნება ჩვენი ქვეყანა. სამწუხაროდ, ილიასიც და სხვა დიდი წინაპრებისაც, ცუდად გვესმის.



**თამარ შველიძე**

**(დასასრული იქნება)**

# ლუსტრაცია 2024 – წლის შემაჯამებელი ოქმი

მაღლა-მაღლა ნუ დაფრინავ, დაბლა იარეო, — მივყვები ამ ნამღერ შეგონებას, მაგრამ რაც მოხდა, ამას ჩემი რეალისტობაც ვერ იფიქრებდა, — საარჩევნო ბარიერგადალახული ოთხი პარტიიდან სამმა ისე აღიარა 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგები, რომ დღემდე არ უღიარებია. ვაჰ, რატომ მეგონა, რომ ოთხივე გაიხდიდა? — უნდა ჩავეძიო!

ელემენტარულია, ვატსონ! როცა დაფინანსებას არჩევნების საფუძველზე იღებ, ამით ავტომატურად აღიარებ არჩევნების შედეგებს, მაშასადამე, არჩევნების ლეგიტიმურობას ცნობ!

დამთავრდა. ახლა, გინდა შეიტანონ, გინდა გამოიტანონ თავიანთი რუმბივით გასიებული გავა-დუმა ამ ჩვენის ნახლაპუშკებ პარლამენტში.

როგორც ჩემი ძმაკაცი ერვანდა იტყოდა, იტოგში, ამ ჩვენს ჩელიაბინსკში მაგარი სმეშნოი ამბები მოხდა — ეს **ერთიანი** ნაციანალური ოპოზიცია არჩევნებამდე ხომ ხაჭაპურივით **ოთხად** გაიყო, „ოთხნი მივდივართ, ტოლნი ვართ, სწორნი ვართ, ერთად მივდივართ, მივიმღერითო“, მერმე შეერთდნენ, ოთხნი კი არა, მთელი ოპოზიცია




**ერთნი** ვართო; ბოლოს **ორ** არათანაბარ ნაწილად გაიყვნენ „ოცნებამაღიარებლებად“ და „იდეებამოგდებულებად.“ აი, ამ დახურდავებული რაოდენობის ხუშტურების გამო ირყეოდა ამდენი ხანი რუსთაველის პროსპექტი?

შილა რომ ჩამოატარეს რუსთაველის პროსპექტზე, ნეტავ, ეგ ვიღამ მოიფიქრა — შილა ჭამეს და საკუთარი თავიც გაასვენეს.

ნიკა გვარამია აწუწკუნდა: „ხალხი გაიფიცოს და სამსახურში არ იაროსო, ბიზნესი გაიფიცოს და გადასახადები არ გადაიხადოსო, ქარხნები დაიხურონ და პროდუქცია არ გამოუშვანო, — აი, ეს იძახეს, სხვები ამუნათეს და ბოლოს თვითონ ქოცების შეთხზულ-გაყალბებულ ციფრებზე დამყნობილ დაფინანსებაზე უარი არ თქვეს.

აი, მესმის.“

მყისიერად მიუგველა ხაზარსურენამ, — როცა სხვა ოპოზიციურ პარტიებს ამუნათებ, ხმამაღლა უნდა თქვა, საიდან ფინანსდებიო...

ფულის გამო იკლავენ თავს, სხვა რა დარჩენიათ პარლამენტში, ყველანი დაბადებიდან სამშობლოს მოღალატეები კი არ არიან. ახლა ასეთი მუქთა ფულის დაკარგვა არაფრის გამო და თან მოსრიალებით, როგორი ამბავია?

„მაიმუნის ჩუტყვავილამ“ ჩაიკვნეს-ჩაიჩურჩულა, „ისევ ერთობის ხათრით არ განვავრცობ, თორემ გვარამიას 88 000 ლარი ხელფასი გაღატაკებულ ქვეყანაში, არ არის ცუდიო... ამან კიდე თვალსა და ხელსშუა ვირტუალური 500 ლარი აგვართვა გვარამიას ყოველთვიური 88 500-ლარიანი ხელფასიდან და ხო აზრზე ხართ, ნაღდი ფულის ართმევაზე რას იზამენ...

ქართულ ოპოზიციურ ფლანგზე ისეთი ამბები ატყდება, სურენ ვივამედელი და კაჟაია ბულავა პირჯვარს ერთად გადაიწერენ...

გვარამიას ყოველთვიური ხელფასიდან მაინც ექნება მუთაქაში შექუჩებული ერთი-ორი „ლიმონი“, მაგრამ დედა, შვილო, როგორ გამწარდებოდნენ მისი ახალგუნდელი, უფულოდ დარჩენილი გადაგდებული იდეებამოგდებულები...

ჯერჯერობით ისღა დაგვრჩა გასარკვევი, ამათგან რამდენი „პუფი“ გამოვა — ნუ, დარეკავს „ყუფარაძე“ და მაგასაც დავინახავთ.

ახლა იმას ვნაღვლობ, ლექს-სენმა რომ დაიგინა, ვინც პარლამენტში შევიდეს იმის დედა მოვლექსეო და პარლამენტის შენობის ერთ-ერთ ზღუდეს შავად მიაწუწეს „ვინც შევიდეს, იმის დედა მო***ო“, ეს ამბავი როგორ დასრულდება? პოლიტიკური მოტივით დაშტამპული სექსუალური მოძალეებისგან როგორ დაიცავენ დედებს, სად გადამალავენ?

დამგინებლებიც რა მოკლე თვალთახედვისა ჰყავთ, — დედის გინებით ვის შეაშინებენ, დილა-საღამოს დედის გინება ჩაესმით ყურში.

ვის რად უნდა მათი დედები მაკრონის გარდა, ცოლები მაინც დაეგინებინათ, ცოტა აზრი მიეცემოდა-მეთქი, — ამის თქმა მინდოდა, მაგრამ უცბად უგულავას ხატება მომეზმანა, ნაცოლარის ქმრებში ერთ-ერთ რიგითად რომ იდგა ბოკალით ხელში ბედნიერი სახით და გადავიფიქრე — აღსრულებადი იქნებოდა და ერთგვარად, უხერხულია...

ნეტაი, პარლამენტში შესწრებაზე ერთმანეთი არ გადაჯეგონ და, არ მინდა არაფერი...

მოკლედ, რა მოხდა — ველოდით, რომ არჩევნებში „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებდა და ყველაფერი ისე წარიმართებოდა, როგორც ლორა თორნტონი ამბობდა ცოცხლად და სიკვდილის წინ დაიბარა ბაკურიანის ჰავადაცდილმა აკერმანმა.

მაინც, რა იყო ესა, ჰა?

მკვდარ მაკკეინს აკიდებული მუქთახორა ლორა თორნტონი იქით იყოს და, კაცი, მსოფლიო ავტორიტეტი არაძალადობრივი კონფლიქტების წარმოებაში, პიტერ აკერმანი ჩამოდის საქართველოში, აპრილის დასაწყისში მიჰლალავს ნაცშპანას ბაკურიანში, ლექციებს უტარებს რა და როგორ უნდა აწარმოონ თავის ბოიკოტ-პეტიციებიანად და თხლაშ! აპრილის ბოლოს ფეხი გაფშიკა — ყვავივით მაინცდამაინც მაშინ შეუსრულდა 300 წელი.

2022 წლის ბაკურიანიდან 2024 წლის 29 დეკემბრამდე მისდიეს პიტერის „მცნებებს“ უსამშობლოებმა და ბოლოს მაინც იდეებამოგდებულები დარჩნენ — ტყუილად ჭამეს მწარე, ტკბილის მოლოდინში უფრო ჩაუმწარდათ გულ-გვამი...

რაც აკერმანის გაცვეთილი ინსტრუქციით ხდებოდა, ეს ყველაფერი რომ უნდა მომხდარიყო, კი ვიცოდით და მომხდენებმაც იცოდნენ, რომ ვიცოდით, მაგრამ იმათ ის აღარ იცოდნენ, რას იზამდა „ოცნება“. მათ ხომ მხოლოდ ის იციან, რას იზამს ჯოგი, როცა ჯოგურ ინსტინქტს გაუღვიძებენ. ამდენად, ვერაფრით განსაზღვრეს, რას იზამდა მოაზროვნე და ტაქტიკოსი, გაუცვეთავი კრებსითი „ქართული ოცნება — უნიათო ინტელიგენტი“.

ვაი და უი, რაც „ოცნებამ“ ქნა!

მოსწყინდა უსამშობლოების ფერება და ამ ყინვა-ბიძგაში შარაზე ნაადრევად გამოყარა ყველა ბითური, ვინც როდისმე დედამ დაწყევლა...

საწყალი ნუკი კოშკელიშვილი ჩიოდა, ბავშვობაში ბებიაჩემი ძაღლის ბეწვისგან მოქსოვილ ტრუსიკს მაცმევდა და ძალიან მცხვენოდა, ნეტავ, ახლა მომცა ის ტრუსიკი, გავიყინეო — აბა, ეს ტრუსიკსდანატრებული ქალი რა რევოლუციის მომხდენი იყო? ისეთ ფუმფულა ქურქში იყო გახვეული, ესკიმოსების იუპიკების შტოს ტომის ბელადი გრენლანდიურ ვეშაპში გაუცვლიდა და ნეტავ, ყინვა საიდან უქიქინებდა, რომ თბილი ტრუსიკი ერჩივნა ყველაფერს?

თაკო ჩარკვიანისა არ იყოს, წავიკივლებდი „აუუუ, რამდენი ყოფილან“-მეთქი, მაგრამ რადგან კივილი არ მეხერხება, ჩავიბუხუნე: ვაჰ, მე თქვენი წამლის ბარიგა, უსამშობლო და უწიგნური ბოროტი დედინაცვლები რომ ვაკივლე „ხლაპუშკების“ ფონზე, ამ ბრბოს გამოთაყვანებისთვის-მეთქი...




მაინც კარგი იყო — ვინც თბილად ღუღუნებდა სადღაც შეყუჟული, ცხვრისქურქმოსხმული თვალებს ნაბავდა და არ ვიცოდით, რას წარმოადგენდა, ისიც კი გამოტანტალდა შიშველი, ფოთის პოლიცმაისტერი არ ვიცი, აგერ ვარ მეო. განა რამე, მაგრამ ფული, ბაბაია, ფულიო... განა მაგაზეა საქმე, მაგრამ მაინც მაგაზეაო...

მთელ იმ გამპროტესტებელ შანტრაბაში ყველაზე მეტად იმან გამამხიარულა, რომ მუსიკალური მიმართულების რაღაც ჯგუფი ყოფილა, „გამოუვალი სიტუაცია“ რქმევია და დეკემბერში დაგეგმილი ყველა ღონისძიება გაუუქმებიათ, ვაჰ, ბიჯო, რამდენი ვიცინე — გამოუვალ სიტუაციაში თავგაყოფილი „გამოუვალი სიტუაცია“ გამოუვალ სიტუაციაში ჩავარდნილა...

ჩავარდებოდა, აბა, რა მოუვიდოდა — რევოლუციის მცდელობას წელიწადში ერთხელ მიგვაჩვიეს და ახლა ერთ წელში ორჯერ მოუნდათ. ეგრე სადაა, ძმაო, რევოლუცია გლდანის შაურმა კი არაა, ერთი ჭამო და მეორე ისე მიაყოლო, არავის დაეკითხო...

მოკლედ, მთელი ეს ბოჟირი იმიტომ ატყდა, რომ, როგორც იმთავითვე თავადვე იცოდნენ, ხელისუფლება არ შეიცვლებოდა და ომიც აღარ ატყდებოდა. აბა, კვარტალში ერთხელ მოლაპარაკებების გახსნის საბაბით ევროკავშირის მხრიდან დაშანტაჟებაზე უარს ვიტყოდით თუ განვაგრძობდით კვნესას, თქვენი მუხლების ჭირიმე, დაგველაპარაკეთო, არავის ანაღვლებდა.

სიმართლე გითხრათ, მე დღემდე ვერ გავიგე, რა სარგებლო მოაქვს ევროკავშირს გარდა იმისა, რომ წევრ ქვეყნებს, ვისთანაც გაუვა, ჩინჩლავს, მაგრამ აჰა, მიისწრაფიან და ესწრაფონ, მე მაინც ვერ მოვესწრები უშაბათო კვირას...

რას ამბობთ, ევროკავშირში რომ მიგვიღონ, ხომ დაწყვეტს 1999 წლიდან ევროკართან მიმდგარი ევროპულობის მარადიული მათხოვარი სრულიად თურქ-სასელჯუკეთი კრიალოსნებს და სათითაოდ გადააყლაპებს ევროკავშირის 27-ივე წევრი ქვეყნის წარმომადგენლებს... ისე, ვიღას გადააყლაპებს, შიგნიდან ეშლებათ ის სიაფანდი ორგანიზაცია...

მოკლედ, იწივლეს, იკივლეს, იხვეწნენ — „გამოდითო“, მაგრამ საკუთარი ამომრჩეველიც ვერ გამოიტყუეს. ისინი ხომ ცალკე დახავსებულები არიან — ბიჯო, გეძახიან, სექტას უჭირსო და იმ ლექსისა არ იყოს: ადე, ხელი გაანძრიე...

როგორც ჩემი ძმაკაცი ერვანდა იტყოდა, კლიანუს, მე არ გაიგოს, რათ არიან ა ეგეთი იზმენიკი დამპლები? მა რათ აფერადემდი ბულეტინსა?

„გამოდიმ“ არ გაჭრა და „ხლაპუშკებს“ მიაწვნენ. დასაწყობებული პიროტექნიკის ჩამორთმევა რა პრობლემა იყო, ახლით შეავსებდნენ, მაგრამ თავიანთივე ლოზუნგი „დიდება შიშს!“ დაემართა უფროსობას;

გადახედეს აკერმანის სახელმძღვანელოდან ჯინ შარპის 11 პუნქტს ტირანიის წინააღმდეგ და პეტიცია-პერფორმანსების დრომ მოუწია — ხან კუბო დაწვეს, ხან ჯადოები აკეთეს, ხან სამსალა ხარშეს და ხან გათვალვა სცადეს, მაგრამ არ გაჭრა;

დრო კი გადიოდა და 29 დეკემბერი მოდიოდა...

მაინტერესებს-მეთქი, რომ ვთქვა, ვიცრუებ, მაგრამ რა სიტყვები მივუსადაგო, არ ვიცი, უტვინობა? უილაჯობა? კომპრომატების შიში? არასრულფასოვნების კომპლექსი? სამუშაო ადგილის დაკარგვის შიში? — თუ ყველაფერი ერთად?

„ლუსტრაციის წელმა“ ბევრი რამ გამოაჩინა, მაგრამ ბოლო აკორდი ცალკეულ პირთა ლუსტრაცია აღმოჩნდა. ცვილის ნიღბები ხლაპუშკების მხურვალებაზე ჩამოეღვენთათ, ნერვების სიმტკიცის ხარისხის მიხედვით მიჰყვნენ

ერთმანეთს და გაჩაღდა ვირთხების რბოლა, რომლებიც მე ასე დავაჯგუფე: „სულსწრაფი ვირთხები“, „ბუნებით ზანტი ვირთხები“, „დინჯი ვირთხები“ და „გამობრძმედილი ვირთხები“ — ეს უკანასკნელი ყველაზე საშინელი კატეგორიაა, რომლითაც სავსეა სამთავრობო სტრუქტურები. კიდევ ერთი კატეგორიაა, მაგრამ მაინცდამაინც „ვირთხა“ არ ესადაგება და რა დავარქვა არც ვიცი — „საქართველოსთვის თავს გავწირავ, მაგრამ მე თუ არ ვიქნები, მკიდია“ კატეგორია.

წინა ხელისუფლების დროს აღზევებულ მამალ ნაცთა ინტერესი ყველანაირად მესმის და არც მიკვირს, პირიქით, ის უფრო მიკვირს, ზარბაზანი რომ არ მოაგორეს ახალგორიდან — ძველი „გულავის“ დაბრუნება უნდათ სათავისოდ, მაგრამ ყველა-ყველა და, ვიღაც ერთი შეუმჩნეველი პირი რომ ხარ, ულამაზესი სოფლიდან გასაქალაქებლად თბილისში გამოქცეული, შენ რატომღა იკლავ თავს დასაჯარიმებელ, საციხე ან საზარბაზნე ხორცად ქცევისთვის, რამდენიმე ნაცმა და მედროვემ რომ გაიხაროს? — საქართველო და ევროპა გრამაფონშია...

მოკლედ, აფორთხიალეს ტოპ-ნაც-ტვინებმა უთავო ქათმებივით ეს უსქესო და ადრენალდაუხარჯავი გოგო-ბიჭები, უყურეს თვითონ შორიდან და ახალი იდეა მოუფრინდათ, ახალ წელს არ მოვიყვანთო — დედაქალაქის მთავარი საახალწლო ნაძვის ხე მიიტაცეს. აკაცუკების რაზმი გრინჩობაზე არ შეჩერდა, ბავშვებს საახალწლო ნაძვის ხე მოპარეს, ფაქტობრივად, სათამაშოებით მორთული ნაძვის ხის დანახვაზე გულში მღეროდნენ „... ზოგიერთი მაგრად ბრწყინავს,/ ზოგი კიდე „ბრაკიაო“/ თოვლის პაპა თუ არ მოვა,/ მო...ნ დედის ტ...იაო“... ქართველი თოვლის პაპა რად უნდათ, სანტა-კლაუსია მოდაში...

ეს საძაგლები! — იმ პატარა გოგონას ცრემლებს რა დამავიწყებს, საახალწლო ნაძვისხესთან ახლოს რომ არ მიუშვეს სურათის გადასაღებად — თბილისი იყო, ქუთაისი, თუ ლაგოდეხი, რა მნიშვნელობა აქვს, საქართველო ხომ არის!..

არ გაჭრა არაფერმა და უცბად გაახსენდათ ბიძინა ივანიშვილი! უცბად კი არა, გაბმით ელანდებათ ხილულ კოშმარად, მაგრამ მოყაყანე და მოიმედე ნაცშპანა რამენაირად კიდევ ხომ უნდა დაებოლებინათ რამით და, ბეჭედდასმულად გამოაცხეს, ბიძინა ივანიშვილი აშშ-ის სანქციების შემდეგ აშშ-ის ნებართვის გარეშე „კრედიტ სუისთან“ დავაში მოგებულ თანხას ვერ მიიღებსო.

საქმე ის კი არ არის, რომ აშშ უნამუსო მოთამაშეა ნებისმიერ ასპარეზზე მსოფლიო მასშტაბით, ან ის, რომ აქამდეც დასანქცირებული იყო ბატონი ივანიშვილი და არაფერი ახალი არ უთქვამთ, არამედ ის, რომ ყველანაირად გაშიშვლდა ყველა, ამის იქით აღარაფერია, კანიღა დარჩათ გასაძრობი.

იმ უკრაინელ კლოუნს რაღა გაუხარდა, ნეტავ? ომში მყოფი ქვეყანაა უკრაინა, ხალხი და მიწა თანაბრად უსამარდება სამუდამოდ, ის კიდევ, დროებით დაპატიმრებულ სხვის ფულს დასდევს... ისიც ისეთივე „ტუპიაკია“, როგორებიც ჩვენც მრავლად გვყავს.

ამათ ეცეთ ნიკო მუნჯის მუნდშტუკი შიგ ათიანში!

ნახევარ საუკუნეს გადაცილებული ცალკე კაცები და ცალკე ქალები მთაწმინდის პლატოს იმიტომ აებლატნენ, რომ იქიდან, ივანიშვილის სახლის ფონზე ვიდეო გადაეღოთ, ჩაბნელებულია იქაურობა, ივანიშვილი გაიქცაო, — აი, ამ კატეგორიის წარმომადგენლებს გაასინჯებ დარგის სპეციალისტს და, ჯანმრთელები არიანო, გეტყვის...

ამათში, ყველაზე ჯანმრთელი, მგონი, გირჩი-ჯაფარაა, თუმცა არც ისაა მთლად დარწუნებული, რომ ჯანმრთელია — რაც გადავხედე, სანქცია არ არის ივანიშვილზე და მის კომპანიებზეო... დედა, შვილო, როგორ გამწარდებოდნენ კიდევ ერთხელ...

დრო გადიოდა და ახლოვდებოდა 29 დეკემბერი...

29 დეკემბერზე, ანუ სალომე დედიდაზე ჩამოეკიდა ნაცმის ყველა მომდევნო ახალი წელიც.

ის ანეკდოტი გამახსენდა, მიხო რომ მურტალ პახმელიაზეა და მარო გადაეკიდება, ადე, კაცო, გურჯაანში წადი, ნაძვისხე, სათამაშოები და ლამპოჩკა მოიტანე, რაღაცას ხო უნდა შემოვუაროთ სიმღერითო. მიხო წამოიზლაზნება და მიაყვირებს, სათამაშოები, აგე, აქა მაქ, ლამპოჩკა დამაბნიე და შამამიარეთ სიმღერით, მაგი გულითვინ ავდგეო?

ისე გავიბოტები ამ ჩემს სასახლეში, ძვრას ვერ მიზამენ, ძალით ხომ არ გამათრევენო, — იქადნებოდა დედა-სალომე-ზოია-ჟანა დ’არკი.

29 დეკემბერს, დილის 10 საათზე დაიბარა „სასტავი“ დედა-სალომემ, მაგრამ ღამევე შეუცვალა დრო და 11-ზე მოდითო. ბოროტმა ხმებმა თქვეს, ეტყობა, ჯავრიან გულზე ზედმეტი მოუვიდა „გომიო“.

„იდეები და ოვაციები, ეს ყველაფერი ერთად უნდა შევტყნათ და ამითი წავალთ წინ“, — 48 ნომერი იყო სალომე ზურაბიშვილი ეს რომ თქვა ტრიბუნიდან და სანახევროდ კი აასრულა, რას ერჩიან?

ერჩიან კი არა, მამუკა ხაზარაძე და დიმიტრი ჩიქოვანი კაპუეტებივით ადგანან თავზე, რევოლუციის მოსაწყობი ფული რომ მოგეცით, მოიტა უკანო!

„მე აქედან თქვენთან გამოვალ და თქვენთან ერთად ვიქნები — ჩემთან ერთად მიმაქვს ლეგიტიმურობა,“ — განუცხადა მიხოს მდგომარეობაში მყოფმა სალომემ წამლად შემორჩენილ აკაცუკების არმიას და ლეგიტიმურობა მიხეილ ყაველაშვილს ისე გადასცა, შპანა აზრზე ვერ მოვიდა.

შპანას ვინ ჩივის, ორბელიანების სასახლიდან ხელს ისე გააყოლა, რაც თავისად ჩათვალა, რომ წარბიც არ შერხევია. არადა, ამ ნივთების შეძენაზე მთელი ამბავი იყო ატეხილი 2019 წელს. თვალწინ გვიფრიალებდნენ პრეზიდენტის სასახლის ძვირადღირებული ნივთებისა სიას ცალკე, ანტიკვარული ნივთებისას — ცალკე, რაც თვით სალომემ შეიძინა და თქვა, რა იყო, თან ხომ არ წავიღებო, — ცალკე. ვერ გავიგე, „ოპელი“, ყველაფერთან ერთად, ის ქალი ძვირფასი ნივთების ქურდიც ყოფილა?

მოიცათ, მოიცათო! — 29-შივე, შუადღეს, ცუდ გუნებაზე გაელვიძა ვინმე მარინე ძაგნიძეს და, წერტილ-მძიმეთი უცვლელად გთავაზობთ ტექსტს, რომელიც საჯაროდ დაწერა: „როგორ გვაჭამა ყველას: აბა დაუკვირდით, თუ ბიძინას პროექტი არაა, სასახლე იყო სიმბოლო. გუშინ თქვა, აქ ვრჩები, სასახლეში ვრჩები არსად არ მივდივარო და ხალხი დაიბარა მოდითო. თუ ამის გაკეთებას აპირებდა, გუშინვე უნდა ეთქვა და ხალხი პარლამენტთან მივიდოდა. ფაქტიურად გაანეიტრალა სიტუაცია და ბიძინას მოუყომარა ყაველას გაპრეზიდენტება. გველაძუაა ეს ქალი და მაგის ადგილი არის სალობიეში, იქ, საიდანაც დაიწყო...

ბიძინას მორიგი ხრიკი ხომ იცით რა იქნება? სალოს ახალი ოპოზიცია“.

სხვათა შორის, უკვე იმდენმა გაიმეორა ზურაბიშვილის „ურყევი ქოცობა“ და გაიხსენეს გვარამია-გაბუნიას ტანდემი მის შეფასებაში, რომ ლამის მეც დამაჯერეს...

ვზივარ, ვაკვირდები რეაქტიული ფსიქოზის გამოვლინებებს და ჩემთვის შემაჯამებელ ოქმებს ვმწერლობ, თორემ კარგ და ძვირფას „სატოპკეს“ ავუწევდი, მაგალითად: „სალომე „ქოცი“ რომ არ ყოფილიყო, 28-ში საღამოს მაინც შეიწყალებდა მიშას!“

ისე, ის ვივამედელი მეფე ლირივით ყველასგან მიტოვებული რომ აღმოჩნდა და მაინც არ ტირის, თუ ატყობთ? — აი, მაგის ოპტიმიზმი მომცა, რააა!

ტიპი თავისებმაც მიივიწყეს, უცხოელმა მოქრთამულებმაც გადააგდეს და არის ახლა დაყუყული იმ „ვივამედში“ გუგულის ბარტყად, მაგრამ სამართლიანობის აღდგენის მომლოდინე საქართველოს მოქალაქეებს არ დაგვიწყებია არც ის და არც „ქართული ოცნების“ მიერ მოცემული დაპირებები — დიდი მოთმინებით ველით კუთვნილ საკანში მის გადაყვანას, მის მომიჯნავე საკნებში კი მისი თანამზრახველების შესახლებას!..

ისე, ასეთი ფარჩაკი ოპოზიცია თუ სადმე იყოს კიდევ შემორჩენილი, ბელარუსის გარდა, არა მგონია. იმ ქუთაისელი ქალთამპყრობელისა არ იყოს, რევოლუცია ვერ მოაწყვენ, ჯაჭვი ვერ შეკრენ, რეზიდენტი-პრეზიდენტი ვერ დაიცვენ, მიაწოდეს „გომი“, წასვლისას დაიწყევლე მაინცო და გამოდენენ ნაცბოსლად ქცეული სასახლიდან.

ისე, კარგი ქნა, პრეზიდენტის სავარძელი რომ არ ჩაბღუჯა კლანჭებით, მაგრამ ლიეტუვა რომ გააწბილა, არ ეწყინა ნეტავ, ლიეტუვას? საჭიროების შემთხვევაში, თავშესაფარს აძლევდნენ საფრანგეთის მოქალაქე ზურაბიშვილს და რა ვიცი, აბა... ეტყობა, ლიეტუვა-საფრანგეთს შორის მისი ტაციაობის გამო ატეხილ შესაძლო კონფლიქტს მოერიდა და სკამი ნებით გააგდო ხელიდან...

კაი, ეს ქალი გაიბარგა და მცხეთაში წავიდა ამოზელილი ლობიოს საჭმელად, იმ მემინდვრია მიტოვებულ გზააბნეულებს რაღა აჟივჟივებდათ, პირდაპირ სამართალდამცავებს რომ ჩაუცვივდნენ კუნთებში.

რანაირები არიან — წინ გოგოსებრები ჰყავთ მიშვებული, უკან კაცისებრები დგანან და ყვირიან „გოგოა, ხელი გაუშვითო“. ბიჯოო, წინ შენ დადექი თუ კაცი ხარ და დაიცავი ქალი, მაგრამ სადაა კაცი... და კიდევ, თუ დედის ტ...ს უშვერი სიტყვებით აგინებს გოგო სამართალდამცავებს და ებრიქება, მაშინ გმირია და კაცი ხდება, მაგრამ ხელს რომ სტაცებენ, ჩაგრული ქალი რანაირად ხდება თვალსა და ხელსშუა?

იმ კოპწია ტიპმა გამახალისა, ვერ გავიგე, მთლიანობაში რას ამბობდა, მხოლოდ იმას მივხვდი რომ ძალიან შეეშინდა პოლიციაში წაყვანის — თავ-ყურში ყრუ მეცნიერი ვარ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონეო, — იმდენი ვიცინე, გული ამომგჯა...

დადგა 31 დეკემბრის ღამის 12 საათი და გაშალეს საქელეხო მაგიდა, ვინცკი დამშეული და უპატრონო იყო, ერთმანეთის ნაწუნწკლავებ საცივში ტუტყნიდნენ თითებს და იღმურძლებოდნენ დილის 5 საათამდე.

ყველაფერი გავიგე, მაგრამ ამ უბედურების ექსტრემალური სექსისა და ყინვაში კაიფისა ვერაფერი გავიგე — სისხამზე მისული დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები გაოგნებულები იყვნენ, შპრიცებისა გავიგეთ, მაგრამ ამდენი პრეზერვატივი რანაირად გაიხმარეს, ზოგს პირით ბერავდნენო? მაგდენი არ ვიცი, მაგრამ არცთუ წიწკვი არაქალ-შარდა კი ვიხილე...

ამასობაში ევროპაშიც გაიგეს „ხლაპუშკების“ დიდი მისიის არსი და ნაახალწლევზე ლამის გადაბუგეს იქაურობა, ოღონდ, იქ მკაცრად დასჯადი აღმოჩნდა მშვიდობიანი ახალგაზრდების „ხლაპუშკებით“ გატაცება...

იყიალეს რუსთაველზე თავმოჭრილმა ქათმებმა, ხინკალი მოხარშეს და ხორციელმარხვამოლეულებს, ამასობაში, 6 იანვარს, ღამის 12 საათზე „რუსული შობაც“ მოადგათ შუაგულ ჩელიაბინსკში. ასე ძალიან „ევროპული შობა“ არ გახარებიათ — დაავიწყდათ, რომ უკვე ნაზეიმები ჰქონდათ ევროპულად. სვედამწვრებმა ისეთი მწყაზარი სახეები მიიღეს ზეთვალაპყრობილებმა, თითქოს იგივენი არ იყვნენ, პატრიარქს რომ გაბმით აყენებენ შეურაცხყოფას, პრეზერვატივებზე წმინდანებს ეთაყვანებიან და მოწამლული გონებით დაჯღაბნილი „თვითმკვლელი ღვთისმშობელი“ ხელოვნებისა და სამყაროს არსის ჭიპი ჰგონიათ.

დრო კი გადიოდა და თვალსა და ხელშუა იწურებოდა...

იდეებამოდგებულებისთვის, დროის ათვლა, რომელიც უსასრულოდ არ გაგრძელდება, დასასრულს უახლოვდება...

**ზურა ოქხერელი**






# უცხოურ ვალუტასთან ერთად, ინვესტიციები ლარშიც უნდა ხორციელდებოდეს



*გვესაუბრება საბანკო საქმის ექსპერტი, პროფესორი ლია ელიავა:*

**— ქალბატონო ლია, როგორი იყო გასული წელი ეკონომიკური თვალსაზრისით და სამომავლოდ რა მოლოდინები გაქვთ?**

— პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ საქსტატის მონაცემები საქართველოს რეალურ ეკონომიკურ მდგომარეობას არ ასახავს. ამიტომ, როგორც მეცნიერისთვის, ეკონომიკური ანალიზის, პროგნოზის გაკეთება მის მონაცემებზე დაყრდნობით, ძალიან რთულია. მეორეც, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა განპირობებულია არამარტო წმინდა ადგილობრივი წარმოებით, არამედ მასში იმპორტის დიდი შემადგენლობითაც. მაგალითად, საქართველოს ბაზარზე კვერცხის 70-80% იმპორტირებულია, რაც მთლიან შიდა პროდუქტში აისახება. ანუ, ფაქტობრივად, იმპორტი მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელშია ასახული. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდის ქვეყნის ეკონომიკა ლილოს ბაზრობას ჰგავს, სადაც საქართველოში შემოტანილი საქონლის რეალიზება ხდება. სამომავლოდაც ასე გაგრძელდება.

**— სავალუტო ფონდის პროგნოზით, მსოფლიოში, ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, ხუთწლიან პერსპექტივაში, მეორე ადგილს ვიკავებთ.**

— სავალუტო ფონდს ახასიათებს ყოველთვიურად განსხვავებული პროგნოზები გააკეთოს, რომლის ნდობაც არ შეიძლება. მეორეც, საერთაშორისო სავალუტო ფონდის განკარგულებებსა და ბრძანებებს რომ არ ვემორჩილებოდეთ, საქართველოს ეკონომიკა სულ სხვაგვარად განვითარდებოდა. სავალუტო ფონდის ამოცანა, ჩვენი ეკონომიკის განვითარება სულაც არ გახლავთ. მისი მიზანია, ისევე, როგორც სხვა, ჩვენსავით ჩამორჩენილ ქვეყნებში, აქაც სტაბილურობა იყოს და ვალუტა თავისუფლად მოძრაობდეს. ანუ, უცხოური ვალუტის მოძრაობა უზრუნველყოფილი იყოს. სავალუტო ფონდს საქართველოში სხვა ინტერესი არ აქვს. ამიტომაც მათი რეკომენდაციები ქვეყნის ეკონომიკისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდისკენ არ არის მიმართული. ასე რომ, სანამ სავალუტო ფონდი საქართველოში იბოგინებს, ქვეყანა ვერ განვითარდება.

**— როგორ შეაფასებთ ქვეყნის სწრაფვას ევროკავშირისკენ. რამდენად გულისხმობს ეს სუვერენიტეტის შეზღუდვას და ეკონომიკური თავისუფლების დათმობას?**

— სუვერენიტეტის დაკარგვას ყველა ეკონომიკური გაერთიანება როდი გულისხმობს. მაგალითად, ბრიქსში გაწევრიანებისთვის ისეთი მძიმე მოთხოვნების შესრულება არ გიწევს, როგორც ეს ევროკავშირის შემთხვევაშია. ევროკავშირი ნებისმიერ სახელმწიფოს ხერხემალში ტეხავს, პოლიტიკურ ზეწოლას ახდენს, რისი მაგალითებიც ბევრია. თუ საქართველოს მოსახლეობას საბჭოთა კავშირის მსგავს ორგანიზაციაში გაერთიანება სურს, მაშინ ევროპისკენ გზა ხსნილია. მეორე მხრივ, ევროკავშირის წევრობისგან ხეირის მიღება ძალიან ეფემერულია. განსაკუთრებით ახლანდელ პირობებში, როცა ევროკავშირის ფასი ნულია და მას აშშ მართავს. ტრამპმა ევროკავშირს რუსეთიდან ნავთობტანკერების მიღება აუკრძალა, ანუ, ის ეკონომიკურად კიდევ უფრო შეზღუდა. ევროკავშირში ეკონომიკურ სფეროში შექმნილი პრობლემები მომდევნო წლებში უფრო გაღრმავდება. შერჩება მას იმის სახსრები, რომ ჩვენისთანა გაუბედურებული ქვეყანა, რომელსაც შოშიასავით პირი სულ ღია აქვს და ფულს ითხოვს, ზურგით ათრიოს, ძნელი სათქმელია.



გარდა ამისა, არ გამოვრიცხავ, რუსეთმა საქართველოდან იმპორტი აკრძალოს, ანუ ჩვენი პროდუქცია აღარ მიიღოს. რუსეთი, თურქეთის მერე, საქართველოსთვის მეორე სავაჭრო პარტნიორია. შედეგად, ეს ნაბიჯი საქართველოს ეკონომიკურად გაანადგურებს. ამ პრობლემას ევროკავშირის წევრობა და მისი ფინანსები ვერ უშველის. ხაზგასმით მინდა გითხრათ: ჩვენს სამეცნიერო-პოლიტიკურ სივრცეში ნაკლებად მსჯელობენ იმაზე, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდება საქართველო ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ. ევროკავშირში გაწევრიანებული ქვეყნების ნაწილი, მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნები ეკონომიკურად საკმაოდ გაჭირვებულად ცხოვრობენ. მათ ადგილობრივი წარმოება თითქმის აღარ დარჩათ, გრანტებზე არიან დამოკიდებულები, ქვეყნები ახალგაზრდებისგან დაიცალა. ამაზე საჯაროდ არავინ მსჯელობს. ხალხის მოტყუება ძალიან ადვილია. ევროპაში სამოგზაუროდ წასულებს ჰგონიათ, რომ იქ იდეალური ცხოვრებაა. სინამდვილეში, მის რაიონებში, სოფლებში ისევე გაჭირვებულად ცხოვრობენ, როგორც საქართველოში, რაც საკუთარი თვალით მაქვს ნანახი.

დარწმუნებული ვარ, საქართველო ევროკავშირში უახლოესი 10-20 წლის განმავლობაში ვერ შევა. ამ დროისთვის კი, მისი არსებობა შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ იდგეს. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის მძიმე ანტაგონისტური დაპირისპირებაა. ასე რომ, როგორც ინგლისი გაიქცა ამ ორგანიზაციიდან, ასევე შეიძლება მოიქცნენ სხვა ქვეყნებიც და ევროკავშირი დაიშალოს. ეს სტრუქტურა თავიდან ჩამოყალიბდა, როგორც ძლიერი ქვეყნების გაერთიანება. შემდგომ სუსტი ეკონომიკები შემოიერთეს. მისი შექმნის იდეა ჯერ ტერიტორიული გაფართოება და მერე პატარ-პატარა ეკონომიკების ბუნებრივი რესურსების წველა იყო.

**— ანუ, ევროკავშირთან ინტეგრაცია ჩვენთვის სხვა ქვეყნებთან დეზინტეგრაციას ნიშნავს?**

— ზუსტად ასეა. პირველ რიგში კი, ეს ჩვენს სავაჭრო პარტნიორებთან დეზინტეგრაციას ნიშნავს, რადგან ევროკავშირს საკმაოდ მკაცრი საბაჟო მოთხოვნები აქვს. რუსეთი საქონლის გარკვეულ კატეგორიაზე შეღავათებს (რიგი პროდუქტები საერთოდ არ იბეგრება ან იბეგრება მინიმალურად) გვიწევს. ევროკავშირი კი ამას ისეთ საბაჟო გადასახადს დაადებს, რომ უბრალოდ, ჩვენი პროდუქტი, ამ შემთხვევაში, რუსეთში აღარ გაიყიდება. ჩვენი პროდუქცია, ფაქტობრივად, არავის სჭირდება და ის არც ევროკავშირს დასჭირდება. საქართველოდან მეტი წილი, რაც ექსპორტზე გადის, სოფლის მეურნეობის პროდუქტია. წარმოიდგინეთ, ეს პროცესი რომ შეწყდეს, რა მოხდება? სოფელი ამოწყდება, შემოსავლის წყაროს დაკარგავს. ეს, პირველ რიგში, ქვეყნის მართვის დამოუკიდებლობის დაკარგვას ნიშნავს. ამ დროს ხდება შემდეგი — ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დამოუკიდებლობას კარგავს და გაურკვეველ ორგანოს — ევროსაბჭოს ემორჩილება, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს, მიუხედავად იმისა, მოსწონს ეს ამა თუ იმ ქვეყანას თუ არა.

კიდევ ერთი რთული საკითხი სოციალურ-მორალურ სფეროს უკავშირდება. ეს გახლავთ არატრადიციული ორიენტაციის ადამიანების მიმართ დამოკიდებულება. აღსანიშნავია, რომ, რასაც საქართველო წლების განმავლობაში წარმატებით ებრძოდა, ეს პროცესი აშშ-ში ახლა დაიწყეს. მაგალითად, იქ ადგილი ჰქონდა არატრადიციული ორიენტაციის 15 ათასი ადამიანის გათავისუფლებას შეიარაღებული ძალებიდან. ასევე, სამუშაოზე მიღების დროს კვოტებს აწესებდნენ — რამდენი ტრადიციული და არატრადიციული ორიენტაციის ადამიანი უნდა მიეღოთ სამსახურში. ამ კანონის გაუქმება ახლა ხდება. აშშ-ში ვითარება კარდინალურად იცვლება, რაც ჩვენთან უკვე დიდი ხნის განხორციელებულია. გარდა ამისა, კანონმდებლობით იკრძალება ბავშვების კასტრაცია და სქესის შეცვლა. შესაბამისად, ამით იმის თქმა მინდა, რომ საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება. ევროპაში ამ კუთხით ვითარება ჯერ არ შეცვლილა. გვინდა, ჩვენ ისეთ ევროპაში შესვლა, სადაც ბავშვს სქესს ისე უცვლიან, რომ მშობელს არ ატყობინებენ?! ეს ქართველისთვის მიუღებელია. ამიტომ, ჩემი აზრით, სანამ ევროკავშირში გავწევრიანდებით, აუცილებელია მის დადებით და უარყოფით ეფექტებზე საჯარო მსჯელობა და შემდეგ, მოსახლეობაში რეფერენდუმი თუ არა, პლებისციტი მაინც ჩატარდეს.

**— საქართველოში მიმდინარე პროცესები, აქციები ეკონომიკაზე როგორ აისახება?**

— პოლიტიკური არეულობა ეკონომიკურ პროცესებზე ყოველთვის ნეგატიურად მოქმედებს. ამის ჩახშობა ხელისუფლების პირდაპირი ვალდებულებაა. სამწუხაროდ, მთავრობა მოსახლეობას არ უმარტავს, რა ხდება რეალურად ქვეყანაში, ვისი ინტერესების გამო დგას ეს ხალხი ქუჩაში, ვინ მართავს ამ პროცესებს. იცით, ყველაზე მეტად რამ შემაშფოთა? მოქალაქეებმა რუსთაველზე ცოცხალი ჯაჭვი რომ შეკრეს. ასეთი რამ 2008 წელსაც გაკეთდა, როცა ომი წავაგეთ. მაშინაც შევძრწუნდი — წაგებულ ქვეყანაში, გამარჯვებას ზეიმობდნენ. მთავრობის ბრალია ის, რომ დღეს მოსახლეობა მავანის მიერ შეცდომაშია შეყვანილი და მას სწორ მიმართულებას არავინ აძლევს. გულდასაწყვეტია, რომ პოლიტიკური პროცესი ქვეყნის ეკონომიკისთვის საზიანო მიმართულებით მიდის.

**— ეროვნულმა ბანკმა ლარის სტაბილურობის შესანარჩუნებლად უპრეცედენტო მოცულობის რეზერვები გამოიყენა. მავანი საუბრობს, რომ სავალუტო რეზერვები კრიტიკულ ზღვარზეა. რა ხდება რეალურად?**

— ეროვნულ ბანკს უცხოური საერთაშორისო სავალუტო რეზერვები იმისთვის გააჩნია, რათა ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობა შეინარჩუნოს. ყოველთვის, როცა სავალუტო კურსს საფრთხე ემუქრება, ის მისი სტაბილურობის შესანარჩუნებლად თანხებს ხარჯავს. რომ არა ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული სავალუტო ინტერვენციები, დღეს ლარის კურსი ერთი ათთან გვექნებოდა. როდესაც ქვეყანაში საკმარისი ვალუტა შემოდის, ეროვნული ბანკის მიერ მისი შესყიდვა და დახარჯული სავალუტო რეზერვების შევსება ხდება. შესაბამისად, ეროვნულმა ბანკმა სავალუტო კურისის შესანარჩუნებლად და ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად რეზერვები აუცილებლად უნდა გამოიყენოს. ამიტომ ნებისმიერი სპეკულაცია იმის თაობაზე, თითქოს რეზერვები მცირდება და ქვეყანა იღუპება, მართებულად არ მიმაჩნია.

**— რაც შეეხება ინვესტიციების შემოსვლას, ქვეყანას რა საფრთხე ემუქრება?**

— მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შემოსული ინვესტიციების 95% ერთ წელიწადში, ქვეყნიდან ისევ გადის. ამას რატომღაც პირდაპირი ინვესტიციები ჰქვია, მაგრამ სამწუხაროდ, მას სპეკულაციური ხასიათი აქვს. მეორეც, იმისთვის, რომ ქვეყანა განვითარდეს, მას არამარტო უცხოური ინვესტიციები სჭირდება, არამედ ადგილობრივი ვალუტაც. ანუ, ინვესტიციები ლარშიც უნდა ხორციელდებოდეს. ბიზნესმენები მსხვილ ინვესტიციებს, მაგალითად, ქარხნის გახსნას არ ახორციელებენ. მათ ურჩევნიათ, თავიანთი კაპიტალი საზღვარგარეთ გაიტანონ და იქ შეინახონ. გარდა ამისა, ყურადღება მიაქციეთ შემდეგს: კომერციულ ბანკებში ანგარიშებზე უზარმაზარი ოდენობის თანხები დევს, რომელიც მომსახურების სფეროზე იხარჯება და არა წარმოებაზე. მოსახლეობა ისევე, როგორც ბიზნესმენები, ფულს ბანკებში ინახავენ და ბიზნესში მის ინვესტირებას არ ახდენენ. ეს შედეგია როგორც იმის, რომ მოსახლეობამ არ იცის, ეს თანხა როგორ გამოიყენოს, ასევე იმისაც, რომ პოლიტიკური არასტაბილურობა სამომავლოდ არასტაბილურ მოლოდინებს ქმნის. ხალხი შიშობს, ვაითუ, ხელისუფლებაში ისევ ის ყაჩაღები მოვიდნენ, რომლებიც ბიზნესის რეკეტს ეწეოდნენ. იმის პროგნოზირება, თუ რა მოხდება, რთულია. თუ პოლიტიკური სიტუაცია არ დალაგდა, საინვესტიციო გარემო დათრგუნული დარჩება.

**თამარ შველიძე**

# ჩვენ უმწიფარი ერი არ ვართ!

გადავხედე გასულ წელს, ვუყურებ ახლად დაწყებულ წელსაც და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ჩვენგან არც ევროპელი გამოიჩორკნება და არც აზიელი, მით უმეტეს, კანონმორჩილი ჩინელი ან რუსი, ამერიკელი — მით უმეტეს. ჩვენ ქართველები ვართ და, მიუხედავად ყველანაირი მცდელობისა, ქართველებად ვრჩებით. ბევრად კარგ მდგომარეობაში ვიქნებოდით, სახლშივე რომ არ გვყავდეს მტრები, თუმცა იმედს ვიტოვებ, რომ დაბრუნდება სამშობლოს ცნება და შინაურ მტრებს კანონით მოეღებათ ბოლო — აღდგება სამშობლოს ღალატის მუხლი!

ჩაიარა 2024 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებმა და დაიდო არჩევნების შედეგები, მაგრამ როგორც ე. წ. ოპოზიციური ფლანგიდან გაისმა, 2025 წლის 20 იანვრამდე თუ არ მოახერხეს რამე, მერე აზრი აღარ აქვს არაფერს. ის „რამე“, ხელისუფლების ძალადობრივი დამხობაა და სხვა არაფერი, ხოლო 20 იანვარი დონალდ ტრამპისა და აშშ-ის ახალ რეალობაში შესვლის თარიღი. 20 იანვარი კარზეა მომდგარი და მყარი ალბათობით, აუცილებლად დაუდგება აშშ-ს, მისგან გამომდინარე კი — საქართველოსაც.

„სუის კრედიტისა“ და საქართველოსკენ გამოსროლილი უსამართლო სანქციებისა არ იყოს, რაგინდ ხელები ასავსავონ, ჩვენ არაფერ შუაში ვართო, ყველასათვის ცხადი იყო, რომ აშშ-ში აღმოცენდა და იქვე დაიგეგმა ლიბერალური დემოკრატიის მსოფლიოში განტოტვა, სადაც კი მცირედი შანსი მაინც იქნებოდა, ხელისუფლებების მოსყიდვისა ან დამხობისა. ახლა კი, ყველა ერთად ვუყურებთ, როგორ ინავლება აქამდე არსებული საერთაშორისო წესრიგი ბაიდენის ადმინისტრაციის სახით, რომელიც იმდენად არაადამიანური აღმოჩნდა, რომ მსოფლიოს სამასხარაო გახადა ცნობიერებადაბინდული საბრალო მოხუცი ჯო...

შეიცვლება ბაიდენის ადმინისტრაცია ტრამპის ადმინისტრაციით და აშშ-ის საგარეო თუ საშინაო კურსის ცვლილებები მსოფლიოზაც აისახება, შესაბამისად, საქართველოზეც, თუმცა რა დაიწრიტება და რა შეგვრჩება ხელში, ამის პროგნოზირება რთულია. მხოლოდ დონალდ ტრამპი რომ იყოს აშშ-ის ერთპიროვნული მმართველი და მხოლოდ მის მიერ გაჩმოვანებულ სურვილებსა და იდეებზე იყოს დამოკიდებული აშშ-ის მომავალი, რაღაცას მაინც იტყოდა ადამიანი დაბეჯითებით, მაგრამ ახლა მხოლოდ კონტურები ჩანს, რომელთაც გამოკვეთა და მყარად ხაზგასმა სჭირდება.

როგორც ამ ეტაპზე ვხედავთ, ამერიკელმა ამომრჩეველმა კონსერვატიული მიდგომები და მსოფლიო პრობლემებისგან იზოლირება აირჩია. თუ გავითვალისწინებთ, რომ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებში პირველ და მომდევნო კანდიდატს შორის დიდი პროცენტული სხვაობა არ იყო და ამასთანავე, როგორი გამეტებით ცდილობდა ბაიდენის ადმინისტრაცია, რომ მძიმე რეალობა დაეტოვებინა გამარჯვებული კანდიდატისთვის, ფაქტობრივად, აშშ-ს თავდაპირველად მხოლოდ შიდა პრობლემები, „ჯერ თავო და თავო“ სიტუაცია ექნება.

თუ ტრამპის ადმინისტრაციამ მართლაც მსოფლიო პრობლემებისგან იზოლირებას მისდია, თავისთავად გაჩნდება ნიადაგი, რომ ასპარეზზე მეტი ახალი მოთამაშე გამოვიდეს, თუმცა, მანამდე აშშ-ის გაცხადებული გეგმებიდან უკვე ვიცით, რომ ამერიკის გასაძლიერებლად ტრამპი აპირებს: დანიისგან იყიდოს გრენლანდია, მიითვისოს პანამის არხი, შეიერთოს კანადა.

ტრამპი არ არის პირველი პრეზიდენტი, რომელმაც ეს ინტერესები გააჩმოვანა და არგუმენტებიც აქვს: გრენლანდია დიდი კუნძულია, დანია კი პატარა სახელმწიფო, რომელიც ვერ უზრუნველჰყოფს ვერც მის დაცვას და ვერც მის განვითარებას. თუ დავხედავთ რუკას, ერთგვარად, აშშ-ს უფრო ეკუთვნის გეოგრაფიული მდებარეობის გამო, მაგრამ დანიაა მისი მფლობელი და სულაც არ ფიქრობს მის გაყიდვას. როგორ მოგვარდება ეს ამბავი, ხომ საინტერესოა?

პანამის არხზე აშშ-ის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროების დამაკავშირებელი საზღვაო გზა გადის და მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. პანამის არხის ტერიტორია ჯერ კოლუმბიას ეკუთვნოდა, შემდეგ საფრანგეთს, აშშ-ს და ბოლოს გადაეცა პანამის მთავრობას. საინტერესოა, აშშ-ში პანამის არხის მითვისება როგორ წარმოუდგენიათ?

კანადის მიერთება-შეერთებას ის გამართლება აქვს თურმე, რომ კანადას ბუნებრივი რესურსების დიდი მარაგი აქვს, რომელსაც ის ვერ ითვისებს. უცნაური არგუმენტია და საინტერესოა, რანაირად წარმოუდგენიათ კანადის შტატად მიერთება-შეერთება?

აშშ-ს რაც სურს, იმით არის მნიშვნელოვანი, რომ უპირველესად, იმას გვიჩვენებს, თუ როგორი მისწრაფებები აქვთ დიდ და ძლიერ ქვეყნებს საგარეო ასპარეზზე, სამეზობლოში და საკუთარი მისწრაფებების ფონზე რამდენად უსუსურია ყველანაირი საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ორგანიზაციების არსებობა; ზოგადად კი, მნიშვნელოვანი იმ მხრივ არის, რომ ამ სურვილების გაჩმოვანებით, აშშ-მა ფაქტობრივად, აღიარა ჩინეთის პრეტენზიების ლეგიტიმურობა ტაივანის მიმართ და გაამართლა რუსეთ-უკრაინის ომი და ასევე, რუსეთის მიერ ადვილი მოსალოდნელი ბალტიის ქვეყნების ანექსიაც.




საქართველო იმ მსოფლიოს ის ნაწილია, რომელიც გეოგრაფიულადაც და გამრუდებული აზროვნებითაც, ევროპა-აზიის შუაწელზე დგას და აღარც იქითაა, აღარც აქეთ, შესაბამისად, რაღაც დაუსრულებელ, ამორფულ ქვეყნად ვიქეცით, რომელიც აუცილებლად უნდა გამყარდეს და საბოლოოდ გადაწყვიტოს, რა უნდა, ღიად უნდა ჩამოაყალიბოს ის სახე, რომელსაც, რატომღაც მალავს.

იმთავითვე, ევროპა და აზია ჩვენს გზაჯვარედინზე ერწყმოდა ერთმანეთს და ეს ჩვენს ცნობიერშია შემონახული. ამდენად, ვერც სრულად აზიელები გავხდებით და ვერც სრულად ევროპელები, ქართველები ვართ და ეს საქართველოა. ამიტომ, კუკუდამალობანა უნდა დამთავრდეს! მე ვარ ქართველი და არავითარი „მაშასადამე“! — ეს უნდა იყოს ამოსავალი.

როდესაც არავინ გთხოვს რაღაც ორგანიზაციაში გაწევრიანების სურვილის დაფიქსირებას ქვეყნის კონსტიტუციაში; სუვერენიტეტის სადღაც მიგდებას; სახელმწიფო ინტერესების მიჩუმათებას; ეროვნული ფასეულობების იგნორირებას და ცალკეულ მავნებლობებს, ხოლო, რასაც გითითებენ და უსრულებ, მაგალითად, იღებ ანტიდისკრიმინაციულ კანონს, გენდერულ კანონს და ა. შ. მერე უცბად რომ ქუდს იშვლებ და აყვირდები, არ მინდა ომი რუსეთთან, ჩემთვის უპირველესი ეროვნული ინტერესები, ქვეყნის სუვერენიტეტი, ეროვნული ფასეულობები და ყველაფერი ის არის, რაც საუკუნეებია, ჩემს გენეტიკაშია და ჩემს ღირსებას არჩევანი-არადანი არ აქვსო, გადაირევა მტერ-მოყვარე შინ და გარეთ, აბა, რა მოუვა. ყველას ვერ აუხსნი და რომ აუხსნა, ყველას ვერც გააგებინებ, რას და რატომ აკეთებ ასე...




ფაქტად ის რჩება, რომ ნდობა გეკარგება და ეჭვებს ბადებ, მედღეჴვალიე მთავრობად ჩანხარ... რა თქმა უნდა, ეჭვით გიყურებ, როდესაც გუშინ ერთს მიკიჟინებდი და დღეს საპირისპიროს გაიძახი...

რასაც საქართველოში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წარმოადგენს თავისი ყველა განაყარით, ეს ის უცვლელი და მუდმივი რაოდენობა და მოცემულობაა. მათ, ყველას ერთი ჩამოყალიბებული პოზა აქვთ — სწორება თავიანთ ლიდერებზე. აბსოლუტურად არ აინტერესებთ იმის გააზრება, რას უწყობენ ხმას და ფეხს, ერთხელ რომ ჩაიბეჭდეს თავში ვიღაც და რაღაც, ცხვრის ფარად მიჰყვებიან და ხრამშიც ნებით გადაჰყვებიან.

ასეთივე, ოღონდ ფანატიზმის გარეშე მომდევრები ჰყავს „ქართულ ოცნებასაც“, მაგრამ გაცილებით მცირერიცხოვანი. ხმები, რომელსაც „ქართული ოცნება“ დღემდე იღებს არჩევნებში, არ არის „ქართული ოცნების“ ხმები, ეს იმ ადამიანების ხმებია, რომლებიც სახელმწიფოებრივად აზროვნებენ და ხმას „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ აძლევენ. არ არის გამოკვეთილი ძლიერი არჩევანი და ამ სურათს ვიღებთ...

2025 წლიდან ბევრი რამ გადასხვაფერდება და შეიცვლება, მაგრამ ასეთი სინაზით არც სიმშვიდე გვექნება და არც სტაბილურობა, მით უმეტეს, არსად გაქრება ჩვენი შიდა პრობლემები. ეკონომიკური მაჩვენებელი სად რამდენიშნა ციფრით განისაზღვრება და რის ხარჯზე, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს რიგითი ადამიანისთვის, მაგალითად, თუნდაც ჩემთვის, ერთი ადამიანისთვის, ჩემი ოჯახის წევრებისთვის, ჩემი ახლობლებისთვის — დავინახავთ, რომ იგივე ეკონომიკურ-სოციალური პრობლემები იქნება; იგივე დემოგრაფიული პრობლემა იქნება — რაგინდ მრავალშვილიანობა უნდოდეს ქართველს, იმდენი და ისეთი გამოცდილება აქვს მიღებული, ვერ გარისკავს საკუთარი პატარების გამრავლებით. აქ არ არის ახლა მოსატანი, თორემ რის ხარჯზე ჩანს შობადობის მატება, თვალნათლივ დაგანახებდით...

სანამ ფეხს არ გამოიღებს ხელისუფლება და სიტყვას საქმედ არ აქცევს, არ დააბრუნებს სიტყვა „სამშობლოს“ და მისგან გამომდინარე „სამშობლოს ღალატის მუხლს“, უცხო ქვეყნებიდან დაფინანსებული სამშობლოს მოღალატეები კუბოებსაც დაწვავენ, შილასაც ჩამოატარებენ რუსთაველის პროსპექტზე და თავიანთი თუ ერაყელების ხელით ათას-ათას ლარად გადაბუგავენ კიდეც საქართველოს დედაქალაქს...

პოლიტიკურ უმწიფარობაში გვითვლიან იმას, რომ ყოველი არჩევნების შემდეგ დამარცხებული მუდმივად ყვირის, რომ მან გაიმარჯვა. არ არის ასე! უახლოესი წარსულის მაგალითიც გვაქვს ნიმუშად, როდესაც ხალხის ნება სხვა იყო და სხვამ გაიმარჯვა და ამას რა მოჰყვა, მაგრამ ასევე გვაქვს იგივე მოცემულობა 2012 წელს და დუმილი იყო დამარცხებულის მხრიდან. დამარცხებულს ისევ იგივე რესურსი ჰქონდა და ძველებურად შეეძლო გასწორებოდა უიარაღო ხალხს, მაგრამ საჩვენებელი თითი აუწიეს და დასვეს.

მაშასადამე, როგორ ყოფილა საქმე?

ჩვენ რომ „დამწიფებული“ ვართ, ისეთი უნდა, მაგრამ რადგან დამარცხებულ მხარეს იგივენი წარმოადგენენ, რომლებიც საქართველოსთან დამარცხდნენ, მათ უკან კი საქართველო არ მოიაზრება, ქართველების ხელით საქართველოს ებრძვის ყველა ის ქვეყანა, რომლის გავლენის აგენტებსაც ქართული გვარების მქონე უსამშობლოები წარმოადგენენ და ვიღებთ იმ ბაკქანალიას, რაც უკვე ყველას ყელში ამოუვიდა, შემსრულებლებსაც და მაყურებლებსაც, მაგრამ შემკვეთები ბოლო აკორდებს არ იშურებენ.

გამარჯვებულებსაც გადავხედე.

რამდენჯერაც „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, დამარცხებულები ყველანაირ უკადრებელს კადრულობენ და სრულ ისტერიკაში არიან, თუმცა მათ ვანდალურ თვითგამოხატვის უფლებაზე გულისამრევი უმოქმედობით პასუხობს გამარჯვებული ხელისუფლება.

გაწონასწორებული ადამიანების შინაგანი მდგომარეობა კომფორტულია, დანამდვილებით იცის, რომ გაიმარჯვა და აგრესია არ აქვს. ღელავს, არ მოსწონს დაპირისპირება, ნგრევა და ძალადობა, მაგრამ თავს იკავებს, რადგან გააზრებული აქვს, რომ მოპირდაპირე მხარეს სხვადასხვა კატეგორიის მისი ახლობლები არიან და სამოქალაქო დაპირისპირე-

12 გვ. →

# ჩვენ უმწიფარი ერი არ ვართ!



← 11 გვ.

ბა ყველაფერზე დიდი საშინელებაა. ძნელად თავშესაკავებელია, მაგრამ ახერხებს თავის შეკავებას, რაციონალურ სივრცეში რჩება...

როდესაც დღევანდელი დამარცხებულები გამარჯვებულები იყვნენ და ხალხი აპროტესტებდა აბსოლუტურად მშვიდად, ნაცემ-ნაწამები და გაუპატიურებული ცოცხლად დარჩენილების გარდა, გვამები ხან სახურავზე ეწყოთ, ხან ციხეებში დაუხვავდათ. იმიტომ, რომ იცოდნენ, გამარჯვებულები არ იყვნენ და იგივე აგრესია სჭირდათ, რაც დამარცხებულებს. განსხვავება ის იყო, რომ ძალაუფლებას ფლობდნენ და მაქსიმალურად იყენებდნენ დასაშინებლადაც და ბოღმის ამოსანთხევადაც — ემოციურ სივცეში რჩებოდნენ...

პირველ შემთხვევაში, თურმე ცუდად იქცევა „ქართული ოცნების“ ხელისუფლება, ხოლო მეორე შემთხვევაში ფაქტად გვედო, რომ თურმე კარგად, „დემოკრატიულად“ იქცეოდა „სააკაშვილის“ ხელისუფლება...

საქმე ის კი არ არის, რომ ემოციურ და რაციონალურ სივრცეებს თანაარსებობა არ შეუძლია, არამედ ის, რომ ემოციური სივრცე გარედან შექმნილია და მანამ იარსებებს, სანამ არ ამოიქოლება ის კარი, საიდანაც ეს ემოციები იმართება.

რატომღა სჭირდებათ საქართველოს გარეთ საქართველოში მუდმივად მყოფი გაშიფრული ხელქვეთები, ამას ახსნაც აღარ სჭირდება, პირდაპირ არის ნათქვამი, მაგრამ ყველანაირი გეგმა რომ ჩაუვარდათ „ა“ გეგმიდან დაწყებული, „ჰ“ გეგმით დამთავრებული, როგორი ასატანია?

ბოლო-ბოლო, რა ძალა გვებრძვის?

როდესაც ჰიტლერული დიქტატურის გამო გერმანიიდან ერთმანეთის მიყოლებით გაედინენ მარქსისტები, ტროცკისტები, ლენინისტები და მსგავსი იდეოლოგიური პათოლოგები, პირდაპირ კოლუმბიის უნივერსიტეტში ჩაბუდდნენ. სტალინიზმის საპირწონედ მათ ახალი რევოლუცია დაგეგმეს, რამაც დღევანდელი ლიბერალიზმის სახე მიიღო, ანუ ლიბერალიზმი ნეოტროცკიზმის და ნეომარქსისზმის ნაზავია, რომლის პირდაპირი მიზანი ტრადიციონალიზმის მოსპობაა. არ აქვს მნიშვნელობა, ქრისტიანული იქნება თუ სხვა, მაგრამ ყველაზე ძლიერ ტრადიციონალისტურ ძალად ქრისტიანობა მიიჩნიეს. ამ ნაზავმა ევროპული ცივილიზაციის განადგურება წარმატებით დაიწყო და განაგრძობს იმ მიმართულებით, რომ საბოლოოოდ ისლამი აიღებს. იმას ვეღარ საზღვრავენ, მერე რა მოხდება, მაგრამ მას შემდეგ, რაც ევროპარლამენტში გამომსვლელი ევროპელი დეპუტატი ქალები უკვე ღიად უყვირიან ურსულა ფონ დერ ლაიენს, რომ ის დასაპატიმრებელია მუსლიმანი ემიგრანტების მიერ ჩადენილ ყოველ გაუპატიურებასა და მკვლელობაზე, ჩანს, რომ ევროპა იღვიძებს.

სავარაუდოდ, შეიკვრება ქრისტიანული ტრადიციონალიზმი და თეთრი ნაციონალიზმი და ერთად დააოკებენ ან შეუტევენ ტროცკისტებისა და მუსლიმანების კოალიციას, სხვაგვარად ევროპა ისლამური ცივილიზაციის ნაწილი გახდება.

აი, ამგვარ მოცემულობაში ვართ და კიდევ ვიღაცებს უნდა დავუყვავოთ?

კარგად მახსოვს, გასული საუკუნის 90-იან წლებში ამბობდნენ, საქართველოს სახით რუსეთის ხელიდან ეცლება კავკასია და ამიტომ არის გაბოროტებულიო, ახლა კი, პირიქით ამბობენ, დასავლეთის ხელიდან ეცლება საქართველოს ხელით კავკასია და ამიტომ არ ზოგავს თავს, რომ ისევ თავისი დიქტატურა დაამყაროს, მაგრამ სააკაშვილი ჩამოწერილია, მისი მსგავსი ქარიზმატული და ამავდროულად, შემსრულებელი ფიგურა კი ვერ გამოინახაო.

ყველაფერი მოსინჯეს და ამაოდ!

პატარა კავკასიის პატარა, 3-მილიონიანმა ერმა საფიქრალი გავუჩინეთ ორ დიდ სუპერსახელმწიფოს, აშშ-სა და დიდ რუსეთს, ხოლო რაღაც ევროპულ ორგანიზაციებს სამოსი აღარ შერჩათ, შიშვლები დარჩნენ.

რატომღაც არ ახსენდებათ, რომ უამრავი იმპერია გაქრა, საქართველომ კი სასწაულებრივად მოაღწია დღემდე...

უმწიფარები რომ არ ვართ, ბოლომდე და კარგად დავანახოთ მსოფლიოს!..

**P.S. „ხშირად მეკითხებიან, 1801 წლის შემდეგ, საქართველოს ტერიტორიაზე რატომ არ მომხდარა „ტრადიციული“ მტრების შემოჭრა და ბრძოლებიო? რატომ აღარ ლაშქრობენ სპარსნი და ოსმალონიო? მაგრამ არ ვპასუხობ, რადგან ბევრი ვაი-პატრიოტი რუსეთის მოყვარულის ნიშას ჩამომკიდებს ყელზედ.**

**ასეთმა ვაი-პატრიოტებმა უნდა იცოდნენ, რომ პოლიტიკურად რუსეთი შეიძლება არ გიყვარდეს, მაგრამ 1801 წლის შემდეგ ქართველები დამშვიდდნენ, დაღვინდნენ, ხმალი**

**დააგდეს და შრომას, წერა-კითხვის ათვისება-გავრცელებას მიჰყვეს ხელი“.**

**(ივანე ჯავახიშვილი, გაზეთი „ივერია“. 1909 წელი.)**

**მაია ჭელიძე**

# მკითხველის ფოსტიდან

**მოგეხსენებათ, „საერთო გაზეთი“ საშობაო არდადეგებზე იმყოფებოდა, შესაბამისად, ჩვენს ფოსტაზე მკითხველთა წერილები დაგროვდა, რომელთაც პერიოდულად მოგაწვდით.**

**რედაქცია, შესაძლოა, სრულად ან ნაწილობრივ არ ეთანხმებოდეს ავტორთა მოსაზრებებს, მაგრამ იტოვებს უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს სარედაქციო პოლიტიკა. ამჯერად, ერთმანეთის მსგავსი სულისკვეთების წერილები გავაერთიანეთ ერთ სახელქვეშ — ღალატის პატაკი**

ამაზრზენი სიტყვა და ქმედებაა გამიზნული ღალატი. მას გამართლება არ აქვს. ყველა ერისა და ქვეყნის ისტორიაში იყვნენ და არიან ადამიანები, რომელთათვისაც იმდენად არაფერს ნიშნავს სიტყვა „ღალატი“, რომ რას ან ვის უღალატებენ, მნიშვნელობა არ აქვს. ზოგჯერ ხდება, რომ რაღაცების გაუთვალისწინებლობის გამო უნებლიედ დგება ისეთი მოცემულობა, რომ ღალატად კვალიფიცირდება, მაგრამ არის სამშობლოს წინააღმდეგ გამიზნული, ‚პირადი კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის ღალატი, რომელიც ისტორიას რჩება. როდესაც მრავალი ადამიანის, შესაბამისად, ქვეყნის ბედით თამაშობს ვინმე, ეს იმდენად მძიმე დანაშაულია, რომ სამშობლოს ღალატს უმძიმეს მუხლად განიხილავს ყველა თავმოყვარე ერი და ქვეყანა. სად წავიდა და რატომ, ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსიდან „სამშობლოს ღალატის მუხლი“, თვალნათელი არ არის?



ეს მუხლი (კიდევ სხვა, აუცილებლად უკან დასაბრუნებელი), რადგან გამიზნული ჰქონდათ სამშობლოს გაყიდვა, ამოიღო სააკაშვილის ხელისუფლებამ — ფაქტები სახეზეა!

12 წელია, რაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია, ამ ხნის განმავლობაში რატომ არ დააყენეს ამ მუხლის აღდგენის საკითხი, ამათ ხომ მაინც აქვთ სამშობლო?

დღეს რომ დამდგარან და „უსამშობლოებს“ უწოდებენ იმ მართლა უსამშობლოებს, თვითონ ხომ აქვთ სამშობლო, აღადგენენ სამშობლოს ღალატის მუხლს?

წვრილ-წვრილი მსტოვრები აღარ ჩანან იმ გვარ-სახელების ფონზე, რომლებიც ქართველმა ხალხმა მოღალატეებად შერაცხა და ასეც ჩაიწერნენ საქართველოს ისტორიაში.

**კახაბერ ყორღანაშვილი** — ფარცხისის ბრძოლის დროს (1569 წ.), ირანის შაჰის რაზმებს მიეგება და მეგზურად წამოუძღვა. მიუხედავად მტრის რიცხოვნობისა, ქართველებმა სძლიეს, მაგრამ ბრძოლის დროს სვიმონ მეფე მოწყდა პირად დაცვას, რაც წამიერად შენიშნა მოღალატე ყორღანაშვილმა და ყიზილბაშებს უჩვენა, ვინ იყო მეფე. 10 წელი გაატარა ალამუთის ციხეში სვიმონ მეფემ...

**იასე ფალავანდიშვილი** — 1832 წლის (დეკემბერი) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეთქმულება გასცა...

**გიგლა ბერბიჭაშვილი** — „ილია რომ ხარ, იმიტომ უნდა გესროლო!“

**შადიმან ბარათაშვილი** — ისტორიულ წიაღსვლებში რომ არ ჩავიდეთ, ისიც საკმარისია, რომ შადიმანობა სამშობლოს მოღალატის აღმნიშვნელ სიტყვად დამკვირდა. თუმცა, ბოლო დროს, რატომღაც, მის რეაბილიტაციას ცდილობენ „ხალხოსნურ-საბჭოურ კლიშეს ადევნებულები ქვეყნის ორგულადაც ნუღარ დავსახავთო“.




**სერგო ორჯონიკიძე** — რომელმაც დაგეგმა და უშუალოდ განახორციელა აგრესია საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ — თბილისში წითელ არმიას შემოუძღვა.

სამშობლოს ღალატის პატაკი: „ლენინს, სტალინს. 25.02.1921. თბილისის თავზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა! გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! ორჯონიკიძე“.

ისტორიამ დაწერა უკვე, რომ ოთხმა პარტიამ („ნაციონალური მოძრაობა“, ახალი, ლელო, „გახარია საქართველოსთვის“) საიდუმლო წერილი გაგზავნა ევროპის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან, რათა შეჩერდეს ყველანაირი ურთიერთობა საქართველოსთან და დღემდე განაგრძობენ წერილების გაგზავნას ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებათ, რომ საქართველოს რამე ავნონონ.

მანამდე, ბრალი დასდეს საქართველოს რუსეთთან ომის წამოწყებაში;

მანამდე, გაყიდეს გარეჯი;

მანამდე, გაასხვისეს საქართველოს სტრატეგიული ობიექტები;

მანამდე, ბრიუსელში დარბოდნენ, საქართველოსთვის ასოცირების ხელშეკრულებაზე, ვიზა-ლიბერალზაციაზე, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიცემაზე არ მოაწეროთ ხელიო.

მანამდე, მანამდე, მანამდე! — იმდენი რამ დაუშავეს მშობელ ქვეყანას, რომ ისტორია კრებსით ნაციონალურ მოძრაობას მოღალატედ გამოაცხადებს.

სიტყვა „ქართულ ოცნებაზეა“!

თუ „ქართული ოცნება“ ე. წ. გაერთიანებულ ოპოზიციას მოღალატედ არ გამოაცხადებს, თვითონ აღმოჩნდება მის გვერდზე ისტორიის სანაგვეში!..

**პატივისცემით ერთი რიგითი ქართველი**

**ზაურ გელაშვილი**

# მსოფლიოში ახალი ტერიტორიული გადანაწილებებია მოსალოდნელი

ჯერ კიდევ შარშანდელი წლის შემოდგომიდან, მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპმა გაიმარჯვა, პოლიტოლოგები დაბეჯითებით აცხადებდნენ, რომ წელს მსოფლიოში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები მოხდებოდა. თუმცა, როგორც ახლა გამოჩნდა, წლეულს მსოფლიოში, სავარაუდოდ, ახალი ტერიტორიული გადანაწილებებია მოსალოდნელი, რისი წინაპირობებიც უკვე შეინიშნება.




ახალი წლის ღამეს გერმანიაში, ბელგიასა და საფრანგეთში მართლაც დიდი აურზაური იყო. გავეშებული ადამიანები (ძნელია, მათ საპროტესტო აქციის მონაწილეები ვუწოდოთ) ქუჩებში წვავდნენ მანქანებს, არბევდნენ მაღაზიებს თუ სხვა დაწესებულებებს. პოლიციელებს მაშხალები დაუშინეს, რასაც ხუთი ადამიანი ემსხვერპლა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბელგიის ხელისუფლებამ მოითხოვა პიროტექნიკის თავისუფალი გაყიდვის აკრძალვა არა მარტო მათ ქვეყანაში, არამედ ევროკავშირში. არეულობებში მონაწილეების ნაწილი დააკავეს, რომლების მკაცრად დასჯას ითხოვენ. გერმანიის ხელისუფლების განცხადებით, პოლიციელის წინააალმდეგ არათუ პიროტექნიკის გამოყენება, მიშვერაც დაუშვებელია.



დარბევა-არეულობიდან ორი დღის შემდეგ საფრანგეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრები ჟან-ნოელ ბარრო და ანალენა ბერბოკი სირიაში ჩავიდნენ იქ არსებული ვითარების დარეგულირების მიზნით. აღნიშნულმა ვიზიტმა ექსპერტ-ანალიტიკოსებს შორის გაოცება გამოიწვია, რადგან ორივე ქვეყანას, განვლილი არეულობების გარდა, ბევრი სხვა საშინაო პრობლემა აქვს. გერმანიაში ერთ თვეში ვადამდელი არჩევნებია. გარდა ამისა, საფრანგეთსა და გერმანიაში მძიმე ეკონომიკური პრობლემები აქვთ.

სირიაში მათ აჰმედ აშ-შარაზმა უმასპინძლა, რომელიც ქვეყნის მმართველად მიიჩნევა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იგი დღემდე აშშ-ის მიერ საშიში ტერორისტების ჩამონათვალშია და სიიდან ჯერაც არ ამოუღიათ. ბერბოკი თეთრ შარვალში და პიჯაკში იყო გამოწყობილი. ისლამურ ქვეყნებში მსგავსი ჩაცმულობა მიუღებელია. ამიტომაც სტუმრები ცივად, მაგრამ ზრდილობიანად მიიღეს. ბერბოკს ხელი არავინ ჩამოართვა, გავრცელებულ ფოტოებზე მისი სახე დაბურული იყო.

სამმხრივი შეხვედრის დეტალებსა და შედეგებზე ინფორმაცია არ გავრცელებულა. სავარაუდოდ, ბარროს და ბერბოკის ვიზიტი არაფრისმომცემი იყო. სამაგიეროდ, სამშობლოში ბერბოკის სირიაში ჩასვლა მკაცრი კრიტიკის საგანი გახდა. ბუნდესტაგის დეპუტატმა სევიმ დაგდელენმა „გერმანიის დიპლომატიის „შავი დღე“ უწოდა ბერბოკის სირიაში ვიზიტს. ასევე მიიჩნია, რომ მსგავსი ვოიაჟი ქვეყანაში ისლამისტებს წაახალისებს. თავად ბერბოკი შეეცადა, თავი ემართლებინა: „ვიცოდი, რომ ცივად დამხვდებოდნენო“. მისი თანაპარტიელები კი ბერბოკის ცივად მიღებას ქვეყნისთვის სილის გაწვნად აფასებენ.

აშშ-ის ახალარჩეული პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ინაუგურაცია რამდენიმე დღეში გაიმართება, მაგრამ უკვე გამოიკვეთნენ ის პოლიტიკოსები, რომლებიც ტრამპისა და მისი გუნდის წევრების სიმპათია-ანტიპათიას იწვევენ. განსაკუთრებული პირდაპირობით მილიარდერი ილონ მასკი გამოირჩევა, რომელსაც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან თანამდებობას დაიკავებს. გერმანიაში თებერვლის არჩევნებში იგი პარტიას „ალტერნატივა გერმანიისთვის“ გულშემატკივრობს. პარტიას, რომლის გაუქმებაც გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცს უნდოდა. სწორედ მასკის პოზიცია გახდა შოლცის უკმაყოფილების მიზეზი. თუმცა ილონ მასკი გამონათქვამებს არ ერიდება და შოლცი საჯაროდ ორჯერ მოიხსენია სულელად. საპასუხოდ შოლცმა მასკს „ტროლი“ უწოდა.

გერმანიის მოქმედ კანცლერს უპრინციპო მმართველად მიიჩნევენ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში. მასკი პირველი არ გახლავთ, ვინც შოლცის მისამართით მკვეთრი გამონათქვამი გამოიყენა. შეგახსენებთ, სამი წლის წინ უკრაინის ელჩმა გერმანიაში იგი „გაბრაზებულ ლივერულ ძეხვად“ მოიხსენია. ახლა შოლცი ცდილობს, დამოუკიდებლად იმოქმედოს, უკრაინისთვის სამხედრო დახმარებაზეც უარს ამბობს, მაგრამ კანცლერის რეიტინგი მკვეთრად დაეცა. მას ვერც მასკისთვის გაცემულმა პასუხმა უშველა „მასკს რაც უნდა ის ილაპარაკოს, მაგრამ გერმანიაში ყველა გადაწყვეტილებას აქაური მოსახლეობა იღებს“-ო.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის განსახილველად შეხვდნენ ერთმანეთს საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი კირ სტარმერი ქალაქგარეთ მდებარე რეზიდენციაში. საუბრის დეტალები უცნობია, მხოლოდ რამდენიმე ფოტო გავრცელდა. მართალია, მაკრონი ტრამპის ადმინისტრაციაში ჯერ არ უხსენებიათ, მაგრამ კირ სტარმერს ილონ მასკი ღიად მოუწოდებს გადადგომისკენ, გაიხსენა პროკურორად მისი მოღვაწეობის დროინდელი დანაშაულების დაფარვის ფაქტები. ორივე ქვეყნის მეთაური აშკარად ხედავს მოახლოებულ საფრთხეს.

პოზიციები შეერყა კანადის პრემიერ-მინისტრს ჯასტინ ტრიუდოს, რომლის რეიტინგი ქვეყანაში კატასტროფულად დაეცა და ახლა მხოლოდ 17,5%-ია. ამის გარდა, დონალდ ტრამპმა მასთან შეხვედრისას ნახევრად ხუმრობით თუ სერიოზულად უთხრა, ხომ არ გახდება კანადა აშშ-ის 51-ე შტატი. თავდაპირველად ტრიუდომ უყურადღებოდ დატოვა ტრამპის გამონათქვამი, მაგრამ ამან კანადაში აჟიოტაჟი გამოიწვია, ამიტომ ტრიუდომ განაცხადა: „კანადა ვერასოდეს გახდება აშშ-ის 51-ე შტატი“. ამაზე ილონ მასკმა სოცქსელებში ირონიულად უპასუხა: „გოგონი, შენ არ ხარ პრემიერ-მინისტრი“. მართლაც, წლის დასაწყისშივე ტრიუდომ დატოვა პარტიის ხელმძღვანელის პოსტი, პრემიერად კი მარტის თვემდე, არჩევნებამდე დარჩება.

ტერიტორიების გადანაწილების ახალ ტალღაზე მეტყველებს დონალდ ტრამპის განცხადებები, რომელმაც სურვილი გამოთქვა პანამის არხზე გავლენის დაბრუნებასა და გრენლანდიის შეძენაზე. პანამის ხელისუფლების განცხადებით, საკითხზე არანაირი მოლაპარაკება არ მიმდინარეობს. რაც შეეხება გრენლანდიას, კუნძული დანიის სამეფოს პროტექტორატის დაქვემდებარებაშია. მართალია, 2009 წლიდან მიიღო ავტონომია, მაგრამ არ შეუძლია აწარმოოს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. „როდესაც მჭირდება ვესაუბრო სხვა ქვეყნის ლიდერს, აუცილებლად უნდა მახლდეს დანიის ელჩი. ჩვენ გვსურს, გვქონდეს და ვიმოქმედოთ საკუთარი აზრით“, — თქვა კუნძულის პრემიერ-მინსიტრმა მუტე ეგედემ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გრენლანდიაში უკვე იყო ჩასული დონალდ ტრამპის ვაჟი, უმცროსი დონალდი, რომელიც მოსახლეობამ თბილად მიიღო, რაც სიამოვნებით აღნიშნა უფროსმა დონალდმა. მანვე პირობა დადო, რომ პანამასა და გრენლანდიაში სამხედრო ძალას არ გამოიყენებს. პანამისა რა გითხრათ, მაგრამ კუნძულზე 60 ათასამდე მაცხოვრებელია და რომელ სამხედრო ძალის გამოყენებაზე შეიძლება ლაპარაკი.






გასულ კვირას გერმანიაში, რამშტაინის სამხედრო ბაზაზე უკრაინის მხარდამჭერი ქვეყნების თავცაცვის მინისტრების 25-ე შეხვედრა გაიმართა, სადაც აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა, ლოიდ ოსტინმა უკრაინას 500 მილიონი დოლარის ღირებულების სამხედრო აღჭურვილობა გადასცა. იგი ბოლოჯერ მონაწილეობდა აღნიშნულ შეკრებაში. „მონაწილეები გაწბილებულები არიან ფრონტზე შექმნილი რთული მდგომარეობით, გარდა ამისა, ხალხი დაიღალა ომით“, — განაცხადა ინტერვიუში პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვლადისლავ კოსინიაკ-კამიშმა.

საგულისხმო განცხადება გააკეთა აშშ-ის არმიის პოლკოვნიკმა ლოურენს ულიკერსონმა ტელეწამყვან ენდრიუ ნაპოლიტანოსთან ინტერვიუში: „ჩვენ მალე ვნახავთ ნატო-ს სრულიად დაშლას გერმანიის მეთაურობით. როდესაც არჩევნებში პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ გაიმარჯვებს და ბუნდესტაგში უმრავლესობას მოიპოვებს, თავიანთ კოალიციას შექმნიან და გერმანიას ალიანსიდან გაიყვანენ, რაც ბლოკის დაშლას გამოიწვევს“.

აშშ-ში, ლოს-ანჟელესში ტყის ხანძარი მასშტაბური გახდა. მან თითქმის ორი ათეული ათასი შენობა შეიწირა, არის მსხვერპლიც. წინასწარი მონაცემებით, ზარალმა 150 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ამინდის გაუარესების გამო მაშველებს ხანძართან გამკლავება უჭირთ.

გასულ კვირას აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ჯიმი კარტერი დაკრძალეს, რომელიც 29 დეკემბერს 100 წლის ასაკში გარდაიცვალა. ცერემონიას ესწრებოდნენ ჯორჯ ბუში (უმცროსი), ბილ კლინტონი, ბარაკ ობამა, ჯო ბაიდენი და დონალდ ტრამპი. ამდენი პრეზიდენტის ერთად ყოფნის გამო დაცვის გაძლიერებული ზომები მიიღეს.

განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ბარაკ ობამა და დონალდ ტრამპი აღმოჩნდნენ, რომლებიც ერთად ისხდნენ და მხიარულად საუბრობდნენ. ჟურნალისტებმა ტუჩების მოძრაობის მიხედვით ერთი რამ ამოიკითხეს — „განცალკევებით უნდა ვისაუბროთ“.

მსოფლიო მოუთმენლად ელოდება დონალდ ტრამპის ინაუგურაციას, რომელიც ხუთ დღეში გაიმართება. გარკვეული ცვლილებები მსოფლიო პოლიტიკაში უკვე შეინიშნება. ოვალურ კაბინეტში ტრამპის შესვლის შემდეგ ბევრი რადიკალური გარდაქმნაა მოსალოდნელი, კარგი თუ ცუდი, მომავალში გამოჩნდება.

**ბია ბურდული**

# ნიკო ლეკიშვილი – კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს



ქვეყანაში არსებულმა დაძაბულმა პოლიტიკურმა ცხოვრებამ ვერ გადაფარა თბილისის ყოფილი მერის ნიკო ლეკიშვილის მოულოდნელი გარდაცვალების სამწუხარო ამბავი.

ნიკო ლეკიშვილს თბილისის მერობა ოთხმოცდაათიან წლებში მოუწია, იმ დროს, როდესაც დედაქალაქში ყველაფრის დეფიციტი იყო. ალბათ, თბილისში არ დადის ადამიანი, რომელიც გაიხსენებს ისეთ ფაქტს, რომ ნიკო ლეკიშვილის მერობის დროს უკანონოდ შეავიწროვეს. თბილისს არ ახსოვს ახალი წელი ბატონი ნიკოს მოლოცვის გარეშე. ამიტომაც იყო, რომ ის ბოლომდე დედაქალაქის მეპატრონე კაცად და ქომაგად დარჩა.

უმაღლეს პოლიტიკურ სკოლა გავლილ კაცს ადამიანებთან ურთიერთობა არ ეშლებოდა. თბილისში დაბადებულმა და გაზრდილმა ზედმიწევნით იცოდა დედაქალაქის პრობლემები, თუმცა ერთ-ერთ თავის ინტერვიუში ისიც თქვა, რომ თბილისის მერობისათვის მარტო დაბადების ადგილი არ არის საკმარისი, მთავარია, მან მიგიღოს და შეგიყვაროსო...

ნიკო ლეკიშვილი, როგორც რაჭველი კაცი, ამბროლაურის რაიონის დაბა ჭრებალოში მცხოვრებ კოლორიტ კაცთან, ვახტანგ გოგოლაშვილთან მეგობრობდა (რომელსაც რძლად ჩემი დეიდაშვილი ჰყავდა). როგორც ამბობენ, ამ კუთხის შვილი რაჭაში ისე არ ჩავიდოდა, გოგოლაშვილების ოჯახს რომ არ სტუმრებოდა და არ მოელხინა. მახსოვს ვახტანგ გოგოლშვილის დაკრძალვაზე ბატონი ნიკოს სევდიანი სახე, რომელიც თავის მეგობარს უკანასკნელ გზაზე მიაცილებდა. თუმცა, მაშინ მე, როგორც ყმაწვილმა კაცმა, ცოტა რამ ვიცოდი მის შესახებ. როდესაც მან თბილისის ბედი ჩაიბარა, ერთდროულად სიხარულის და სიამაყის განცდაც დამეუფლა იმის გამო, რომ ერთ დროს ასეთ კაცს შევხვდი...

ბატონი ნიკო განსაკუთრებულად აფასებდა ქველმოქმედ ბიზნესმენებს, რომლებიც ქალაქის აღმშენებლობისათვის იღვწოდნენ, რაც მისი მეგობრის რაჭის საზოგადოების თავმჯდომარის, ბატონ ოთარ კერვალიშვილის ერთი მონათხრობიდანაც კარგად ჩანს.

„...საერთოდ, ბატონი ნიკო ლეკიშვილი დიდ პატივს სცემდა საზოგადო მოღვაწეებს, ქველმოქმედ ადამიანებს. ის ბევრს საუბრობდა ბიძინა ივანიშვილის განსაკუთრებულ ღვაწლზე თბილისის მიმართ, რომელიც ხშირად ინკოგნიტოდ ეხმარებოდა ქვეყანას, თბილისს და ეს მას აღაფრთოვანებდა“.

არ შეიძლება არ გავიხსენო ერთი ფაქტი. მახსოვს, ჩემი, ბატონი ნიკოსა და რაჭის გაზეთის „რაეოს“ თაოსნობით 2003 წლის 18 იანვარს ქალაქ თბილისში ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაზეთ „რაეოს“ მიერ (რედაქტორი აწ გარდაცვლილი ბონდო გაგნიძე) 2002 წელს გამოცხადებული კონკურსში გამარჯვებულ ნომინანტთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

კონკურსის პირობა ასეთი იყო, საქართველოს მოსახლეობას თავიანთი (რეგიონების ) მიხედვით უნდა დაესახელებინათ მათი კუთხის საზოგადო მოღვაწეები და ბიზნესმენები, რომელთაც გარკვეული წვრილი მიუძღვოდათ თავიანთი კუთხის წინაშე. გამოკითხვის შედეგები ამ რეგიონების მცხოვრებთა მიერ რედაქციაში გამოგზავნილი წერილების მიხედვით შეჯამდა. თითოეული კუთხიდან უნდა დასახელებულიყო ერთი ან ორი კანდიდატი. ეს წერილები მთელი ორი წლის განმავლობაში გროვდებოდა რედაქციაში. გამოკითხვაში გამარჯვებული ნომინანტის მშობლიურ კუთხეში რედაქცია აგზავნიდა გამოცდილ ჟურნალისტს და გადამღებ ჯგუფს, რომელთაც უნდა გადაეღოთ 10-წუთიანი ფილმი გამარჯვებულის ოჯახზე, სოფელზე, საქმიანობაზე...

კონკურსში გამარჯვებულებად მართლაც ღირსეული ადამიანები დასახელდნენ, რაჭაში ნიკო ლეკიშვილი, გურიაში ანზორ ერქომაიშვილი, ხოლო იმერეთის რეგიონში ქველმოქმედი ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც მაშინ არც ფართო საზოგადოება იცნობდა და არც კონკურსის ორგანიზატორები.

მიუხედავად ამისა, ცნობილმა ჟურნალისტმა, ქალბატონმა ნუნუ გრძელიშვილმა გადამღები ჯგუფის დახმარებით მაინც მოამზადა საჩხერის შესახებ ძალიან ლამაზი სატელევიზიო სიუჟეტი, რომელსაც მუსიკალურ ფონად გასდევდა სიმღერა „საპოვნელა“.

კონკურსის დროს ყველა გამარჯვებული უნდა ასულიყო სცენაზე და მადლობა გადაეხადა დამსწრე საზოგადობისათვის. ვინაიდან ბიძინა ივანიშვილი არ იმყოფებოდა საქართველოში, ისევ ნიკო ლეკიშვილის რჩევამ გვიხსნა. მან პირადად მთხოვა, როგორც ივანიშვილის წარმომადგენილი ავსულიყავი სცენაზე და მიმეღო პრიზი. ასეც მოვიქეცი, სცენაზე ავედი, საზოგადოებას მადლობა გადავუხადე დაფასებისათვის და შევპირდი, რომ, როდესაც ბატონი ბიძინა იქნებოდა საქართველოში, რედაქცია მას აუცილებლად გაუგზავნიდა აღნიშნულ პრიზს. შემდეგ რა მოხდა, მივიდა თუ არა საჩუქარი ადრესატამდე, რომელიც გაზეთი „რაეოს“ სპეციალური ნომრისგან და ჟურნალისტების მიერ კასეტაზე გადატანილი სპეციალური გადაცემისგან შედგებოდა, არ ვიცი, მაგრამ ერთს ვიტყვი, ბატონი ნიკო იყო კაცი, რომელიც ბოლომდე თბილისის მერად დარჩა...

ნიკო ლეკიშვილის ღვაწლის შესახებ კიდევ ბევრს გაიხსენებს თბილისი. მაგრამ მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა ზუსტად გამოხატავს მიხეილ ქვლივიძის ერთი განსაკუთრებული ლექსის ბოლო სიტყვებს:

**...მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც,**
**კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს.**

**ლევან ჭილლაძე**



# იურიდიული რჩევები

## თქვენს კითხვებს პასუხობს საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი ლევან ჭიღლაძე



**– მინდა ბიზნესის დაწყება. ვიცი, რომ არ იქნება დიდი მოგება და მეშინია, რომ საგადასახადო ორგანოსაგან დიდი ვალები დამედება. თუ არსებობს ამ მიმართულებით რაიმე შეღავათი სახელმწიფოსგან?**

– ასეთ შემთხვევაში თქვენ უნდა დარეგისტრირდეთ მეწარმედ და შემდეგ უნდა მიმართოთ საგასახდო ორგანოს მცირე მეწარმედ დარეგისტრირების შესახებ. ასევე, მცირე მეწარმედ რეგისტრაციის შესახებ შეგიძლიათ მიმართოთ ბანკასაც და თქვენ მოგენიჭებათ მცირე მეწარმის სტატუსი. ამასთან, ეს წესი გავრცელდება ფიზიკურ პირზე, თუ სამეცნიერო ან სახელოვნებო საქმიანობას ეწევა და საგადასახადო ორგანოში საგადასახადო აღრიცხვაზე იმყოფება. იგი უფლებამოსილია, მიმართოს საგადასახადო ორგანოს მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მიზნით.

●

**– მაქვს გასაქირავებელი ბინა, მაგრამ ვერ ვაქირავებ იმის შიშით, რომ შესაძლებელია, დამქირავებელმა არ გადამიხადოს თანხა. გავიგე, რომ ასეთ შემთხვევაში უნდა მივმართო სასამართლოს. როგორ მოვიქცე, რომ ასეთი გრძელი გზის გავლა არ დამჭირდეს?**

– სწორედ ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა ქირავნობის სპეციალური ხელშეკრულების ფორმა, რომლითაც შეგიძლიათ ისარგებლოთ, გააფორმოთ ქირავნობა და საჯარო რეესტრში დაარეგისტრიროთ. დავის შემთხვევაში პირდაპირ შეგიძლიათ მიმართოთ აღსრულებას.

●

**– თბილისის მერიის სატრანსპორტო სამსახურმა გამომიწერა საჯარიმო ქვითარი, რომელსაც არ ვეთანხმები. როგორ უნდა მოვიქცე?**

– შეგიძლიათ აღნიშნულის შესახებ გასაჩივრებისათვის განცხადებით მიმართოთ ქალაქ თბილისის მერიას, წარადგინოთ ფაქტები და პრეტენზიები და მოითხოვოთ მისი გაუქმება.

●

**– მსურს შვილის წაყვანა საზღვარგარეთ, მაგრამ მეორე მშობელი არ მაძლევს ამის უფლებას. აღნიშნული დავა გრძელდება წლების განმავლობაში. როგორ მოვიქცე?**

– ასეთ შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ მშობლის, როგორც წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვა. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შეგიძლიათ გადაწყვეტილება წარადგინოთ სახელმწიფო სერვისების სააგენტოში, რის საფუძველზეც გაიცემა ბავშვზე საზღვარგარეთის პასპორტი.

●

**– უცხოელი ვიზის საფუძველზე ჩამოვიდა საქართველოში. ვიზას გაუვიდა ვადა. მას სურს მიიღოს საქართველოში თავშესაფარი, რადგან სამშობლოში დაბრუნების შემთხევაში მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ვის უნდა მიმართოს მან?**

– ამ შემთხვევაში უცხოელმა უნდა მიმართოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტს და მოითხოვოს თავშესაფარი. ამასთან, პირს კანონის მიხედვით თავშესაფარზე უარს ეტყვიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავის ქვეყანაში ბრალდადებულია ნარკოტიკული ტერორიზმისა და ტრეფიკინგით საქმიანობაში.

●

**– ჩემი, როგორც ბიზნესმენის უფლებები უხეშად დაირღვა, მომხსნეს სახელმწიფო ტენდერიდან, რადგან ფირმის ლიცენზირების საქმე მქონდა სასამართლოში გასაჩივრებული. სად შემიძლია გავასაჩივრო ტენდერში მონაწილეობაზე მიღებული უარი?**

–ამ საკითხებს არეგულირებს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, სადაც შეგიძლიათ გაასაჩივროთ აღნიშნული დავა. ამასთან, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს სახელმწიფოს მხრიდან კონკურენციის შეზღუდვას. კონკურენციის კანონის შეზღუდვის განცხადებებს განიხილავს მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და კონკურენციის სააგენტო.

●

**– ვარ უცხო ქვეყანაში. ვიზას გაუვიდა ვადა. აღარ მინდა აქ გაჩერება, საქართველოში დასაბრუნებელი მგზავრობის თანხაც არ მაქვს. როგორ მოვიქცე ?**

– ასეთ შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ ადგილობრივ პოლიციას და სთხოვოთ მიგიყვანონ დროებით თავშესაფარში, სადაც დაგეხმარებიან, დეპორტის გზით დაბრუნდეთ სახელმწიფოს ხარჯით საქართველოში. ამასთან, შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს საკონსულო წარმომადგენლობას.

**ტელ: 555 75-04-45**

# საერთაშორისო ორგანიზაცია „სახალხო დიპლომატია“ 10 წლისაა, მისი შვილობილი „სახალხო დიპლომატთა ერთობა“ კი ახლა იბადება

**2014 წელს შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაცია „სახალხო დიპლომატია“, რომლის დამფუძნებელი და პრეზიდენტი გახლავთ ნინო ანდრონიკაშვილი - ექიმი, ტელეჟურნალისტი, საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს ერთ-ერთი დამფუძნებელი და კომიტეტის წევრი; დავით აღმაშენებლის სახელობის აკადემიის საპატიო პროფესორი; ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი; მსოფლიოს ქართველ და ებრაელ ქალთა ასოციაციის „ESTA“-ს საპატიო წევრი. შეყვანილია ნინო რეხვიაშვილის გამომცემლობის მიერ გამოცემულ რამდენიმე კრებულში.**

**2024 წელს ნინო ანდრონიკაშვილმა და ციცი ბეროზაშვილმა დააფუძნეს ახალი ორგანიზაცია „სახალხო დიპლომატთა ერთობა“. წლების წინ ციციმ და ნინომ ერთმანეთი მსოფლიოს ქართველ და ებრაელ ქალთა ასოციაცია „ესთაში“ გაიცნეს, მათ ერთმანეთში უშრეტი პოტენციალი დაინახეს და სახალხო დიპლომატიის მეტად გაფართოებისთვის შექმნეს ეს ერთობა. ეს ენერგიული ქალბატონები იმედოვნებენ, რომ მათ უამრავი დაინტერესებული პროფესიონალი ადამიანი შემოუერთდება.**



ნინოს ბიოგრაფია მრავალფეროვანი და მრავლისმომცველია. 15 წელი ემსახურა მედიცინას, სამეანო საქმეს; იგი გახლავთ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მეან-გინეკოლოგი; წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებასა და კლინიკაში როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ; ხელმძღვანელობდა წამყვან კლინიკა „ამტელ ჰოსპიტალს„.

ნინო გახლავთ თავის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული პატრიოტი. ქართული გენისა და



იდენტობის, ტრადიციების მიმდევარი. წინაპართა სახელის უკვდავყოფა მისთვის ყველაზე მთავარი ფასეულობაა. ნინოს ცხოვრებას ლაიტმოტივად მუდამ თან სდევს განსაკუთრებული ემოცია, სიფაქიზითა და სიყვარულით სავსე, და ეს - აფხაზეთია, ყველას ტკივილი და მონატრება. ნინომ, როგორც სახალხო დიპლომატიის უბადლო წარმომადგენელმა არაერთხელ მოახერხა აფხაზეთში ჩასვლა. პირდაპირი ჩართვებით „ლაივებით„ ქართულ საზოგადოებას დაათვალიერებინა, ინფორმაცია მიაწოდა საკუთარი სახლების, ნათესავების, წინაპართა საფლავების შესახებ. თავისი განსაკუთრებული დიპლომატიური უნარით კიდევ ერთხელ შეძლო, რომ ადამიანებს მონატრებული აფხაზეთის სურნელი შეეგრძნოთ...

მისი მოღვაწეობის მთავარი ფასეულობა ადამიანური ურთიერთობები, დიალოგისა და დიპლომატიის გზით წარმართული საქმიანობა, კულტურათა დიალოგით სხვადასხვა ქვეყნის კულტურათაშორისი ურთიერთობების წარმოჩენა, დაფასება და ქართული ტრადიციების, ხელოვნების ევროპულ სამყაროში ინტეგრირებაა.

ნინო ათი წელია, ხელმძღვანელობს საერთაშორისო ორგანიზაციას „სახალხო დიპლომატია„ და არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ: „საქართველო დამაქვს გულით„ „ხალხის სიყვარული„ „საუკეთესო საუკეთესოთა შორის„ „ჩვენც დავბერდებით„ „მეგობრობა გზა და ხიდად„ და ა. შ.

აღსანიშნავია ნინოს საქმიანობა სატელევიზიო სივრცეში. იგი გახლავთ რეიტინგული სატელევიზიო გადაცემათა რამდენიმე ციკლის პროდიუსერი, ავტორი და წამყვანი: „ასეთ მამულიშვილებზე დგას საქართველო“, „ცნობილი და გამოჩენილი ადამიანები,“ „გვართა ენციკლოპედია“ და სხვა.

ნინო ანდრონიკაშვილი: **„დიპლომატიის გზით, ერთმანეთის საქმიანობის დაფასებითა და ურთიერთპატივისცემით შევძლებთ ჩვენი ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეების კეთებას,“** — გაიცანით ქალბატონი **ციცი ბეროზაშვილი.**

ნინო ანდრონიკაშვილი: - **თქვენი პროფესია?**

ციცი ბეროზაშვილი: - მყავს მეუღლე, ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი. დავამთავრე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, მაქვს დოქტორის ხარისხი. მრავალი წელი ვიმუშავე სკოლაში პედაგოგად, შემდგომ „ალმამატერში“ გავაგრძელე მუშაობა უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრაზე.

**- რატომ ფილოლოგია?**

ციცი ბეროზაშვილი: - სიმართლე გითხრათ, სულაც არ მინდოდა ფილოლოგი ვყოფილიყავი, ბავშვობიდან ვოცნებობდი მსახიობობაზე, ვბაძავდი ქართული კინოს გმირებს, მათ როლებს ვირგებდი. სკოლაში დავდიოდი მხატვრულ კითხვაზე, მაშინდელ პიონერთა სასახლეში - დრამწრეზე. მაგრამ აღმზრდელობითი საქმიანობის სურვილმა სძლია და ქართული ენის სპეციალისტი გავხდი. აღმოჩნდა, რომ მოწოდებითაც პედაგოგი ვყოფილვარ, მიადვილდებოდა მოსწავლეებთან მუშაობა. ჩემი გაკვეთილები გამოირჩეოდა ინოვაციებით, ვცდილობდი, გაკვეთილის მსვლელობაში სიახლე შემეტანა.

**- დღესდღეობით რით ხართ დაკავებული?**

ციცი ბეროზაშვილი: დიდი ხნის პაუზის შემდეგ აქტიურად ჩავები საზოგადოებრივ საქმიანობაში. ვარ მსოფლიო ქართველ და ებრაელ ქალთა ასოციაციის აქტიური წევრი, „ლიდერ ქალთა საზოგადოების“ საპატიო წევრი, პროექტის “აფხაზეთი მე ვარ” - მშვიდობის ელჩი. საერთაშორისო ორგანიზაცია „სახალხო დიპლომატიის“ ვიცე-პრეზიდენტი, ვარ შეყვანილი ნინო რეხვიაშვილის ავტორობით გამოცემულ ორ კრებულში: “სამყაროს სამკაულები”, “ჭაშნაგირი”.

ჩემი საზოგადოებრივი საქმიანობა დაგვირგვინდა 2024 წელს - ჩემს მეგობარ ნინო ანდრონიკაშვილთან ერთად დავაფუძნეთ ახალი საერთაშორისო ორგანიზაცია “სახალხო დიპლომატთა ერთობა”.

**- რას ემსახურება თქვენი ორგანიზაცია?**

ციცი ბეროზაშვილი: - ხალხთა შორის ურთიერთობების განმტკიცებასა, გამოჩენილი ადამიანების მიმართ პატივისცემას და საზოგადოებისთვის გაცნობას. ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა სახის პროექტების განხორციელებას.

სულ მალე თბილისის მერიის მხარდაჭერით სასტუმრო „ პულმანი აქსის თაუერსში„ ჩატარდება პროექტი „თბილისი ყველას აერთიანებს“. პროექტის ფარგლებში გაიმართება ორგანიზაცია „სახალხო დიპლომატიის„ 10 წლის იუბილე, მისი შვილობილი კომპანიის „სახალხო დიპლომატთა ერთობის„ დაფუძნების პრეზენტაცია და რჩეულთა შორის გამორჩეული თბილისელების დაჯილდოების საზეიმო ცერემონია.

პროექტის მიზანია სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების ერთ სივრცეში გაერთიანება, მათი შემოქმედებისა და მოღვაწეობის ფართო საზოგადოებისთვის წარდგენა/დაფასება და პოპულარიზაცია.

პროექტის მთავარ ამოცანას თბილისის ძველი თაობისა და „თბილისელი კოლორიტების“ საქმიანობის წარმოჩენა და მომავალი თაობისთვის გაცნობა (რომელიც ასევე, სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს მოიცავს), თბილისური პეიზაჟების გაცოცხლება და საზოგადოებისთვის დადებითი ემოციების შექმნა წარმოადგენს.

პროექტს ექნება ტრადიციული ხასიათი, გაიმართება ყოველი წლის ბოლოს. გამოკითხვებისა და საქმიანობის შედეგად, წარდგენილი იქნება 10 ნომინანტი თავისი საქმიანობით და შემოქმედებით ორგანიზაციების მიერ.

ღონისძიებაზე წარმოდგენილნი და დაჯილდოებულები იქნებიან საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, რომლებიც წლების განმავლობაში თავიანთი პროფესიული საქმიანობით პოპულარიზაციას უწევენ ჩვენს ქვეყანას, მის ისტორიას, კულტურას.

ღონისძიებას დაესწრებიან როგორც სამთავრობო, ასევე დიპლომატიური კორპუსის, ბიზნესსექტორის, საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

**ნინო ანდრონიკაშვილი**



# რას გვამცნობენ ვარსკვლავები

**ქართული ახალი წელი ძველი სტილითაც გავისტუმრეთ და ახალი სტილითაც. 2025 წელი ხის მწვანე გველის წლად მივიღეთ და ყველგან მისი სიმბოლოები გამოვფინეთ, მაგრამ თუ აღმოსავლურ კალენდარს მივყვებით, ახალი წელი ჯერ არ დამდგარა, 2025 წლის 10 თებერვალს იწყება და 2026 წლის 29 იანვრამდე გაგრძელდება.**




### 2025 წლის ასტროლოგიური პროგნოზი მამაკაცებისთვის

ეს წელიწადი ბევრ მამაკაცს გაუჩენს თვითგანვითარებისა და ცვლილებების სურვილს, შესაბამისად, ბევრი მამაკაცი მიიღებს რადიკალურ გადაწყვეტილებებს და გააკეთებს იმას, რაზეც დიდი ხანი ოცნებობდა. წლის განმავლობაში არაერთ მნიშვნელოვან შეთავაზებას მიიღებენ და შესაძლოა, საქმიანობის სფეროს შეცვლაც კი გადაწყვიტონ. მნიშვნელოვანია, რომ ქმედებებსა და გადაწყვეტილებებში მოქნილობა და სიბრძნე წამოსწიონ წინა პლანზე და ადაპტაციისთვის მოემზადონ. თუ ცხოვრების ყველა ასპექტში წონასწორობისთვის იბრძოლებენ, ეს წელი ბევრ პოზიტიურ მომენტს მიუტანთ.

### 2025 წლის ასტროლოგიური პროგნოზი ქალებისთვის

ეს წელი ქალებს წარმატებას მოუტანს სხვადასხვა სფეროში და საკუთარი თავის უკეთ გაცნობასაც მოახერხებენ. ეს წელი კარგია მათთვის გრძელვადიანი ურთიერთიერთობებისთვის, თუ ეს ურთიერთობა ნდობასა და პატივისცემაზე იქნება დაფუძნებული. შესაძლოა, ზოგმა წყვილმა ურთიერთობის დაკანონება და შვილის გაჩენა გადაწყვიტოს, რაც ადრე მათ გეგმებში არ იყო.

ქალებისთვის ეს წელი დაუგეგმავი მოვლენებითაც იქნება სავსე, რამაც, შესაძლოა, ფინანსური სირთულეების წინაშეც დააყენოს ისინი. შესაბამისად, ასტროლოგების მთავარი რჩევაა, რომ ფინანსები გონივრულად აკონტროლონ, რაც დამატებითი შემოსავლის წყაროს გააჩენს.

### ზოდიაქოს ოთხი ნიშანი

2025 წელი ზოდიაქოს ოთხ ნიშანს განსაკუთრებული წარმატებითა და მრავალფეროვნებით გაანებივრებს. ესენია: თევზები, ტყუპები, ქალწული და მშვილდოსანი.

### თევზები

თევზებისთვის კარიერული წინსვლისა და ოცნებების ასრულების წელია — საბოლოოდ მიიღებენ იმას, რისთვისაც ამ ხნის განმავლობაში შრომობდნენ და ნატრობდნენ. ზოგი მათგანისთვის იმიჯის რადიკალური შეცვლა და გარდაქმნა გახდება მნიშვნელოვანი. ისინი, ვინც მოკლებულები იყვნენ დადებით ემოციებს, შესაძლოა, ნამდვილ სიყვარულს შეხვდნენ და არაერთი სასიამოვნო თავგადასავალიც ჰქონდეთ, თუმცა, ქორწინებაში მყოფებს ეს ფაქტი სირთულეებსაც შეუქმნის. თუ ეს არ სურთ, უმჯობესია, პრობლემებზე ისაუბრონ და არა წყენა ჩაიდონ გულში.

### ტყუპები

ამ წელს ტყუპების კარმის კვანძი მათ „პროფესიულ სახლს“ გაივლის, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა, მოულოდნელად ახალი სამსახური იპოვონ, ან არსებულ სამსახურში დაწინაურდნენ. მათთვის ფინანსური კეთილდღეობა და სასარგებლო კარიერული ცვლილებებია მოსალოდნელი.

### ქალწული

ქალწულებისთვის მომავლის კვანძი მათი „ურთიერთობების სახლში“ იანვრიდან იქნება და სატურნთან გაერთიანებამ, შესაძლოა, უნიკალურ პარტნიორთან გადააჯაჭვოს. მასთან ურთიერთობა იმდენად ძლიერ გავლენას მოახდენს, რომ წარმატება არა მხოლოდ პირადი ურთიერთობის, არამედ, ზოგადად, ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ექნებათ.

### მშვილდოსანი

ეს წელი მისთვის სახლთან არის დაკავშირებული. შეაძლოა იყიდონ ახალი სახლი, საცხოვრებელი ადგილი შეიცვალონ, ან სამუდამოდ მოაგვარონ ის პრობლემა, რომელიც სახლთან არის დაკავშირებული.

გარდა ამისა, შესაძლოა, მოგზაურობამაც კი მოუწიოთ, რაც სამსახურებრივ საქმიანობასთან იქნება დაკავშირებული.

2025 წელი, ზოგადად, მოგზაურობებით, თავგადასავლებითა და საინტერესო ადამიანებთან კომუნიკაციით გაანებივრებს მშვილდოსნებს.



### 2025 წელი ზოდიაქოს ნიშნებისთვის

2025 წელი კარმული წელია, ყველა ადამიანი მიიღებს იმას, რაც დაიმსახურა...

### ვერძი

უპირველესად დაფიქრდებით და შემდეგ გადაწყვეტთ, ვის უნდა დაემშვიდობოთ საბოლოოდ და რა ტიპის ურთერთობებზე უნდა თქვათ უარი. მოგიწევთ თქვენი სოციალური წრის გადახედვა და შინაგანი ხმის მოსმენა.

განსაკუთრებით აქტუალური იქნება სამსახურთან დაკავშირებული საკითხები. შესაძლოა, რომ იმის სწავლას და განვითარებას დაუბრუნდეთ, რაც უწინ გინდოდათ და რაღაც ეტაპზე შეაჩერეთ. შესაძლოა, ახალი უნარები აღმოაჩინოთ საკუთარ თავში, რაც ახალი შემოსავლის წყაროს გაგიხსნით.

ოჯახური თვალსაზრისით, საკმაოდ აქტიური ცხოვრება გელოდებათ, შესაძლოა, დაოჯახება გადაწყვიტოთ და ბავშვის გაჩენაზეც იფიქროთ.

### კურო

კუროებისთვის წლის თემა „მომავლის გამოწვევები და პრობლემებია“. კარმა მოგცემთ მოტივაციას, რომ წინ გაიხედოთ და ცხოვრებისეული გეგმები დასახოთ. მოგიწევთ, ამ წელს დაემშვიდობოთ ყველაფერს, რაც მოძველებული და გამოუსადეგარია, რაც ხელს გიშლით ბედნიერებასა და წინვლაში. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებთ ახალი მწვერვალების დაპყრობას და ბევრად ძლიერი და თავდაჯერე-

### ტყუპები

2025 წელს განვითარების ახალ კარმულ ეტაპზე გადადიხართ, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალი ცხოვრებისეული მიზნები და გეგმები გაგიჩნდებათ. წლის დასაწყისში, შესაძლოა, საქმიანობის სფერო ან არსებული სამსახური შეიცვალოთ, რადგან მთავარი პრიორიტეტი საკუთარი შესაძლებლობების უკეთ წარმოჩენა, ავტორიტეტის ამაღლება და წარმატების მიღწევა იქნება.

ამ წელს თქვენს ცხოვრებაში გამოჩნდება საიმედო ადამიანი, რომელიც ძალზე მნიშვნელოვან რჩევებს მოგცემთ და წინსვლაში დაგეხმარებათ. წლის განმავლობაში, შესაძლოა, განახლდეს თქვენი მეგობრების წრე და ამავდროულად, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მეტი სურვილი იგრძნოთ.

### კირჩხიბი

2025 წელი თქვენთვის ფასეულობების გადაფასების ეტაპი იქნება. ბევრი ურთიერთობა, რომელსაც ბზარი აქვს შეპარული, საბოლოოდ დაიწყებს დაშლას და წარსულს ჩაბარდება.

გარკვეული სირთულეები ელით როგორც დაქორწინებულ, ისე არაოფიციალურ ქორწინებაში მყოფ კირჩხიბებს.

ფინანსური თვალსაზრისით კი არაერთი სიურპრიზი გელით: შემოსავლის გაზრდა, ფინანსების მოძიების ახალი წყაროები, დაწინაურება — ამ კუთხით ძალზე საინტერესო წელი გექნებათ. გაზრდილი შემოსავლების ფონზე მოგინდებათ, რომ თანხა თქვენი ოცნების საქმეებში დახარჯოთ, მაგრამ გირჩევთ, სპონტანური შენაძენებისგან თავი შეიკავოთ.

(დასასრული იქნება)

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 555 33-44-14; 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 009882 682227

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99